კვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ვერსია“ ერთი

ვერსია

№46 (1687) 6 — 12 დეკემბერი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რა ქონებას ფლობს გიგა ბოკერია

„ევროპული საქართველოს“ ლიდერის მოკრძალებული დეკლარაცია

„ანექსიისკენ მიჰყავს რუსეთს ჩვენი ტერიტორიები!“

პაატა დავითაია ხელისუფლებასა და ოპოზიციას აფრთხილებს

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

დიდი არეულობა ენმ-ში

მიშას პარტიის სანდალური დოსიე

რა უნდა და რა პრეტენზიები აქვს ოპოზიციასთან იაგო ხვიჩიას „გირჩს“

„ერთადერთი პარტია ვართ, რომელიც სიმართლის გარდა, არაფერზე ლაპარაკობს!“

პოლიციამ თბილისში განზრახ მკვლელობის მცდელობის და პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ნ.ვ., განზრახ მკვლელობის მცდელობისა და სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების დროს, პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1985 წელს დაბადებულ, თ.ა.-ს ცივი იარაღით დაზიანებები მიაყენა.

ბრალდებულმა ნ.ვ.-მ დანით დაზიანება მიაყენა გამოძახების შედეგად შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულ საპატრულო პოლიციის თანამშრომელსაც.

ორივე დაჭრილი საავადმყოფოშია გადაყვანილი, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდებათ.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნ.ვ. ცხელ კვალზე დააკავეს.

განზრახ მკვლელობის მცდელობისა და სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების დროს პოლიციელზე თავდასხმის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე და 353-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის – ბავშვთა ქორწინების საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, ეროვნული ვალდებულებების შესრულების დაჩქარების მნიშვნელობის შესახებ კონფერენცია გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ოსაძემ, ბავშვთა ქორწინების საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, ეროვნული ვალდებულებების შესრულების დაჩქარების მნიშვნელობის შესახებ გამართულ მაღალი დონის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ღონისძიებაზე სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს გაერო-ს მუდმივმა კოორდინატორმა საქართველოში, საბინე მახლმა და შვედეთის საელჩოს თანამშრომლობის განვითარების განყოფილების უფროსმა, მისიის ხელმძღვანელის მოადგილე ერიკ ილესმა.

დისკუსიას ბავშვის ქორწინების საზიანო პრაქტიკის აღმოსაფხვრელად სახელმწიფო ინსტიტუტების კოორდინაციის ხელშეწყობის მიზნით ძალისხმევის გაერთიანების მნიშვნელობის შესახებ ფასილიტაცია გაუწია გაერო-ს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) წარმომადგენელმა თურქეთში და საქართველოსა და აზერბაიჯანის ოფისების დირექტორმა, მარიამ ხანმა.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, გენერალური პროკურატურისა და მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირები.

შეხვედრის ფარგლებში, გიორგი ოსაძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიდგომებსა და როლზე ადრეულ ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისაუბრა ყოველწლიურ საინფორმაციო კამპანიაზე – „ნუ წაართმევ ბავშვობას“, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობასა და არსებულ გამოწვევებზე. ასევე, ხაზი გაუსვა საკითხზე მომუშავე უწყებებისა და ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობის და კოორდინირებული მოქმედებების აუცილებლობას.

ღონისძიება მიზნად ისახავდა სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების დიალოგის მხარდაჭერას და ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის მიმართულებით უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესებას.

კონფერენცია გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან თანამშრომლობით, გაერო-ს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობისთვის“ – ფარგლებში შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

ვახტანგ გომელაური სომხეთის უსაფრთხოების საბჭოს მდივანს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანმა ვახტანგ გომელაურმა, სომხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების საბჭოს მდივანთან, არმენ გრიგორიანთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზი და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი გივი თუმანიშვილი.

მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე და არსებულ უსაფრთხოების საკითხებზე ისაუბრეს. ვახტანგ გომელაურმა და არმენ გრიგორიანმა ასევე განიხილეს ორი ქვეყნის შესაბამის სტრუქტურებს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობა.

შეხვედრის ფარგლებში, ხაზი გაესვა, როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონის მდგრადი განვითარებისათვის მშვიდობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას, ასევე, რეგიონული დიალოგის არსებობას ეკონომიკის, ვაჭრობის, კულტურისა და სხვა მიმართულებების განვითარებაში.

წალკის მუნიციპალიტეტში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული ვ.ვ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, წალკის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ნაჯახის გამოყენებით, სასიკვდილო დაზიანება მიაყენა 1970 წელს დაბადებულ ე.გ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ვ.ვ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

დიდი არეულობა ენმ-ში

ნინო დოლიძე

მარადიული რომ არაფერია, ეს ყველამ კარგად ვიცით, თუმცა ზოგჯერ ისე ხდება, რომ ადამიანები ვცდილობთ, დავიჯეროთ, რომ ის, რაც გვაქვს, ან არის, არასოდეს შეიცვლება. ასე დაემართა ყოფილ მმართველ პარტიასაც ანუ ენმ-ს ფუძემდებლებსა და სახეებს, ალბათ, ეგონათ, რომ მათი პარტია მუდმივად გავლენიანი იქნებოდა და თუნდაც ყველაზე მსხვილი ოპოზიციური ფლანგის სტატუსს შეინარჩუნებდა, მაგრამ ნათქვამია ყოველთვის ისე არ წვიმს, როგორც ქუხსო. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და გასულ წელს დაწყებულმა უთანხმოებამ პიკს ამ დღეებში მიაღწია – ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ენმ ბათუმის საკრებულოს წევრებმა დატოვეს. ზოგადად, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ყოფილ მმართველ პარტიას ტოვებენ, თავს დროზე ენმ-დან გიგაც წავიდა, ბოკერია და კიდევ ბევრი სხვა სახე, მაგრამ მაშინ სააკაშვილის დაფუძნებულმა პოლიტიკურმა სუბიექტმა გადარჩენა შეძლო. ახლა კი, როგორც საქმეში ჩახედულნი ამბობენ, ყველაფერი გაცილებით დრამატულადაა და ნაციონალური მოძრაობა შესაძლოა, ზომაზე მეტად დაჩიავდეს... როგორ განვითარდება მოვლენები, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, მაგრამ მოდით, ექსმმართველი პარტიის ე.წ. დაბადებას და ზოგადად, მის პოლიტმოღვაწეობას თვალი გადავავლოთ... მაშ ასე, „ვერსია“ არქივიდან ენმ-ს დოსიეს გთავაზობთ.

მიშას პარტიის სანდალური დოსიე

ლამის, ორი ათეული წლის წინ, პარტიას რომ აფუძნებდა, ქართული პოლიტიკის მაშინდელი ამომავალი ვარსკვლავი ანუ მიხეილ სააკაშვილი, ალბათ, ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ დაუშვებდა, რომ ოდესმე დადგებოდა დრო, როცა ვიღაცები მისთვის „მშობლის“ უფლების ჩამორთმევას შეეცდებოდნენ, მაგრამ დღეს სააკაშვილი არათუ ლიდერი, არამედ, საკუთარი პარტიის რიგითი წევრიც კი აღარ არის...

ზოგადად, მნიშვნელობა არ აქვს, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გჯერათ თუ არა, ფაქტია: კაცობრიობა არაერთი ამოუხსნელი ფაქტისა თუ მოვლენის მოწმეა. ერთ-ერთი ასეთი ამოუხსნელი მოვლენა რეინკარნაციაა. აბა, თუ არა რეინკარნაცია, სხვა რითი უნდა აიხსნას, რომ ლამის საუკუნოვანი ინტერვალის შემდეგ, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, გერმანული ამბავი, თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით განმეორდა?! დიახ, ყველაფერი 21-ე საუკუნეში კი არა, გაცილებით ადრე, ბებერ ევროპაში დაიწყო:

ზუსტად იმ წელს, საქართველოში რუსული ბოლშევიზმი რომ შემოიჭრა, ავსტრო-უნგრეთის ქალაქ ინის ბრაუნაუში დაბადებული ახალგაზრდა კაცი გერმანული ნაცისტური პარტიის ლიდერი გახდება. ცხადია, ადოლფ ჰიტლერს აზრადაც არ მოსდის, რომ ზუსტად 80 წლის შემდეგ, ქვეყანაში, რომელიც ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს და რომელსაც მზიან საქართველოს ეძახიან, გამოჩნდება ადამიანი, რომელიც მისი ნაცისტური პარტიის რეინკარნირებას განახორციელებს.

ვერ ვიტყვით, სააკაშვილის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ჰიტლერის ნაცისტური პარტიის ალიკვალიაო, მაგრამ მიშასა და ადოლფს შორის საკმარისზე მეტი მსგავსება არსებობს – ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, როცა ნაცისტების ლიდერი გახდა, ჰიტლერი 32 წლის იყო, სააკაშვილმა კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 34 წლის ასაკში დააფუძნა.

„ჩვენ გვჭირდება ზომიერად აგრესიული ახალგაზრდები!“ – ცდებით, თუ გგონიათ, რომ ამ სიტყვების ავტორი ადოლფია. ეს ფრაზა იმხანად, როცა ნაცმოძრაობას ქმნიდა, მიხეილმა წამოისროლა და, მართლაც, ნაცმოძრაობა არაერთი „ზომიერად აგრესიული“ ახალგაზრდის ნავსაყუდელი გახდა, თუმცა, დროთა განმავლობაში, ამ „ზომიერებამ“ აღვირი (ესეც პრეზიდენტყოფილის სიტყვაა – ამას წინათ, ბრძანა, აღვირი არ მაქვსო) დაკარგა და პირტიტველა გოგო-ბიჭები,

დასასრული მე-15 გვერდზე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა უნდა და რა პრეტენზიები აქვს ოპოზიციასთან იაგო ხვიჩიას „გირჩს“

„ერთადერთი პარტია ვართ, რომელიც სიმართლის გარდა, არაფერზე ლაპარაკობს!“

„ვერსია“ პარტია „გირჩის“ ლიდერ იაგო ხვიჩიას პოლიტიკურ გეგმებსა და მიმდინარე აქტუალურ თემებზე ესაუბრა...

– ბატონო იაგო, რა ეტაპზეა თქვენი პარტიის საარჩევნო გეგმა?

– ჩვენი გეგმა არის, რომ ნაცოპოზიციონერებს ანუ პარტიებს, რომლებიც „ნაცები“ არ არიან, მაგრამ შინაარსობრივად არაფრით განსხვავდებიან „ნაცებისგან“, ვუბიძგოთ და გავაერთიანოთ „ნაცებში“. პოლიტიკური ველი იყოს ისე მოსუფთავებული, რომ ხალხს არ აბნევდეს. არჩევნებზე იყვნენ „ნაცები“ და ყველა ის პარტია, რომლებსაც „ქოცები“ „ნაცებს“ ეძახიან და შინაარსობრივად, მართლაც, არ განსხვავდებიან „ნაცებისგან“, „ქოცები“ და ჩვენ – „გირჩი“. ამ დროს არც ხმები დაიკარგება და ის პარტიები, რომლებსაც მაინც არანაირი იდეა და გეგმა არ გააჩნიათ, გარდა იმისა, რომ „ჩვენ მოვალთ“, „ქოცებს“ დავამხობთ და მერე მივხედავთ ქვეყანას“, იყვნენ ერთად ამ იდეის მთავარ გამჟღერებელ ნაცმოძრაობასთან, ხოლო ჩვენნაირი პარტიები, რომლებსაც რაღაც წარმოდგენა აქვთ, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყანა „ქართული ოცნების“ შემდეგ, უნდა იყოს ცალკე და ხალხს უნდა ჰქონდეს არჩევანი ბელადებზე აწყობილ პარტიებსა და იდეაზე აწყობილ პარტიებს შორის.

ამ წუთისთვის, ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ ეს კონსტრუქცია გავაგებინოთ პოლიტიკურ სპექტრსა და ჩვენს მოქალაქეებს.

– რომელ პარტიებს გულისხმობთ კოლექტიურ „ნაცებში“?

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ნაცებში“ უნდა გაერთიანდეს ზურა ჯაფარიძე, ელენე ხოშტარია, თავიანთი პარტიებითურთ... „ლელო“ და სხვა პატარ-პატარა ხალხი, რომლებიც ოდესღაც იყვნენ ნაცმოძრაობის წევრები...

– გიორგი ვაშაძის პარტიასა და ევროპულ საქართველოს გულისხმობთ?

– გიორგი ვაშაძე ისედაც არის. ევროპულ საქართველოს რაც შეეხება, ძალიან ცუდად წარმოსადგენია, რომ გიგი წერეთელი და კაკო ბობოხიძე „ნაცებში“ არ იყვნენ, მაგრამ თამარ ჩერგოლეიშვილი წაიყვანეო, ამას „ნაცებსაც“ ვერ ეტყვი იმიტომ, რომ ის განსხვავდება მათგან... ვფიქრობთ, ნაცებმა უნდა შეისრუტონ ის ხალხი, რომელებიც მათ ტალღაზე არიან.

– რას ნიშნავს „მათ ტალღაზე არიან“?

– „ნაცები“ არის პარტია, რომელიც ამბობს, რომ მე კი ჯერ არ ვიცი, კონკრეტულ თემებზე რა გეგმები მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ „ქოცები“ უნდა გავუშვა ხელისუფლებიდან და როცა მოვალ ხელისუფლებაში, მერე გეტყვით, რას გავაკეთებო. აი, ეს არის „ნაცური“ მესიჯი, რომელიც ამბობს, რომ ყველაფერი მეორეხარისხოვანია, სანამ რუსები მართავენ ქვეყანას. თუ ამ მესიჯზე ზიხარ და არაფერ ახალს არ ამბობ, ეკონომიკა, სასამართლო და ა.შ. როგორი უნდა იყოს და ამ ნარატივს მიჰყვები, ე.ი. არაფრით განსხვავდები „ნაცებისგან“, შინაარსობრივად. ასეთი მესიჯის ქვეშ ვინც ერთიანდება, ყველა „ნაცია“ და უნდა იყვნენ „ნაცებში. ეს ყველასთვის უკეთესია, ამით თავადაც მოიგებენ, „ნაცებიც“ – ყველა მოიგებს „ქართული ოცნების“ გარდა.

– თქვენ რა გეგმა გაქვთ? რა საკითხებია ისეთი, რაზეც ელაპარაკებით ოპოზიციას და ვერ აგებინებთ?

– ჩვენ საზოგადოების ცხოვრების ყველა ნაწილთან დაკავშირებით გვაქვს ჩვენი გეგმა, პოზიცია. ვეძებთ ადამიანებს, რომლებიც გაგვაკრიტიკებენ ან დაგვეთანხმებიან ამაში. ვცდილობთ, ამ პოლიტიკურ პროცესში შემოვითრიოთ, მაგრამ არ შემოდიან...

– თქვენი აზრით, რატომ?

– იმიტომ, რომ ეს ხალხი არ არის ჯერ მომზადებული იმისთვის, რომ კონკრეტულ თემებზე ილაპარაკოს. უკვე გითხარით, „ნაცების“ მესიჯბოქსი როგორიცაა... სხვა პატარა პარტიები, რომლებიც ელოდებიან, როდის შეიძლება „ნაცებს“ მიეწებონ, „ნაცების“ მესიჯბოქსისგან განსხვავებულს არაფერს ამბობენ და შეჩერებული აქვთ საუბარი. ჩვენ გვინდა, რომ ეს ხალხი რამენაირად ჩავრთოთ საუბარში, ჩვენი გეგმა გვაქვს, ვთავაზობთ ხალხის სიას, რომლებსაც „ნაცები და ქოცები“ არ უნდათ და შეიძლება დამოუკიდებლად უნდოდეთ პოლიტიკაში შესვლა... ვეძებთ თანამოაზრეებს, მაგრამ

ვინც ჩვენი თანამოაზრე არ არის და არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორი ქვეყანა უნდა, ეს ხალხი უნდა შევიდეს „ნაცებში“.

– თქვენი საუბრიდან მექმნება შთაბეჭდილება, რომ მთელ დანარჩენ ოპოზიციას მიიჩნევთ „ნაცად“...

– მთელს არა... მაგალითად, ელისაშვილზე ხომ არ მითქვამს „ნაცია“-მეთქი? არც გახარიაზე მითქვამს ეს, მიუხედავად იმისა, რომ რაღაც კოალიციები აქვთ ადგილ-ადგილ შექმნილი... ისიც ჯერჯერობით არაფერს ამბობს, რა გეგმა აქვს მომავალში, თუმცა ჩვენ მაინც თავს ვიკავებთ, ვთქვათ, რომ ესეც „ნაცებში“ უნდა შევიდეს. ჩვენ როცა ვსაუბრობთ „ნაცურ პარტიებზე“, ზუსტად იმ პარტიებს ვგულისხმობთ, რომლებიც ორი წლის წინ, მერის არჩევნებზე, „ნაცების“ მოადგილეობას „ჩალიჩობდნენ“. ასეთი იყო „ლელო“, ზურა ჯაფარიძის პარტია და ევროპული საქართველო.

– პირდაპირ გეტყვით, ცოტა უცნაურად ხვდება ყურს თქვენგან ასე საუბარი ზურა ჯაფარიძეზე, რადგან წლების მანძილზე, ერთად მოდიოდით. რამ განაპირობა ასეთი ხისტი დამოკიდებულების ჩამოყალიბება მის მიმართ?

– ხისტი და ცუდი არაფერი მითქვამს. პირიქით ვთქვი, მგონი, ზურა ჯაფარიძესაც და ჩვენც გვესმის, რომ ხმები არ უნდა დაიკარგოს. ორი „გირჩი“ ბიულეტენზე ნიშნავს, რომ ვაყენებთ რისკქვეშ იდეას, ორივე დაზიანდეს. ზურა ჯაფარიძე ახლა „გირჩს“ ისედაც არ აკეთებს თავის ნარატივით – „დავამხოთ ქოცები, mona.ge“ და მთელი ეს ნარატივი სრულიად განსხვავდება „გირჩის“ კეთებისგან. ჩვენ საერთოდ სხვა რამეს ვაკეთებდით ყოველთვის, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ზურა ჯაფარიძემ თავისი ამომრჩევლები არ უნდა დაკარგოს, თან ეს ამომრჩევლები, შინაარსობრივად, ყველაზე ახლოს დგანან „ნაცებთან“. ამიტომ, ნაცების ფორმით არჩევნებში მონაწილეობა ძალიან გასაგები იქნება მათი მხრიდან და ეს ჩვენც შეგვიწყობს ხელს (აღარ დავმალავ), ჩვენც დაგვეხმარება იმაში, რომ ერთი „გირჩი“ იყოს არჩევნებზე და ბარიერის გადალახვისა და ზოგადად, „გირჩის“ ხმების განბნევის პრობლემა არ იყოს.

– ანუ, ბარიერის გადალახვა რომ არ გაგიჭირდეთ?

– ბარიერის გადალახვა ისედაც არ უნდა გაგვიჭირდეს, მაგრამ რისკქვეშ რატომ უნდა დააყენო, არაფრის გამო, როცა შენ ამით არაფერს იგებ და სხვას საქმეს უფუჭებ! ჩვენ ვამბობთ, რომ მოდით, ერთმანეთს საქმე არ გავუფუჭოთ, არც „ნაცებს“, არც სხვა პარტიებს... მაგალითად, „ლელომ“ ტყუილად რატომ უნდა ხარჯოს ფული ორი კაცის შეყვანაში? არ სჯობს, „ნაცებთან“ მიხვიდე, პატიოსნად, ადგილები იყიდო სიაში და გარანტირებული გქონდეს იმ ხალხის შეყვანა, ვინც საჭიროდ მიგაჩნია, რომ პარლამენტში იყოს?

– რის საფუძველზე ამბობთ ასე დარწმუნებით, რომ 5%-იან ბარიერს მარტივად გადალახავთ?

– ერთადერთი პარტია ვართ, რომელიც სიმართლის გარდა, არაფერზე ლაპარაკობს. შეუძლებელია, ეს ადამიანებისთვის შესამჩნევი არ იყოს. ჰოდა, გარანტირებული არაფერია, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც „ქოცები“ და „ნაცები“ თავიანთ ხმებს იკრებენ, ჩვენნაირი პარტიისთვის რჩება ადგილი ქართულ პოლიტიკაში და ამ შანსს აუცილებლად გამოვიყენებთ. ეს გვაძლევს თავდაჯერებას, რითაც გელაპარაკებით.

– ევროკავშირისგან ძალიან მალე ველოდებით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას კანდიდატის სტატუსის მონიჭების საკითხზე. როგორი მოლოდინი გაქვთ, ამ მხრივ და რამდენად შეცვლის ეს საკითხი ოპოზიციის გეგმებს საარჩევნოდ?

– მგონია, რომ ოპოზოციის გეგმა უნდა იყოს არჩევნების მოგება და წესით, ეს გეგმა არაფერმა უნდა შეცვალოს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამით ქულების დაწერა „ქართულ ოცნებასაც“ შეუძლია და თვითიმედოვნება იმაზე, რომ ევროპელები ჩვენ მაგივრად საქმეს გააკეთებენ და „ქოცებს“ გაადემოკრატიზებენ, არ არის სერიოზული. ჩვენ ყველას უნდა გვესმოდეს, რომ თუ შემდგომი ნაბიჯები გვინდა, ამისთვის საჭიროა, რომ ქართული ოცნება არ იყოს ერთპიროვნულად ხელისუფლებაში და ჩვენ დასავლელ პარტნიორებს ვაჩვენოთ ჩვენი სწრაფვა დასავლური საზოგადიებისკენ.

– მოლოდინი როგორი გაქვთ – მივიღებთ ამ სტატუსს?

– ოპტიმისტი ადამიანი ვარ. ვგულშემატკივრობ საქართველოს, რომ ეს სტატუსი მიიღოს და შესაბამისად, მხოლოდ კარგზე ვფიქრობ.

„ანექსიისკენ მიჰყავს რუსეთს ჩვენი ტერიტორიები!“

პაატა დავითაია ხელისუფლებასა და ოპოზიციას აფრთხილებს

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რუსეთი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის ე.წ. საზღვრებზე სადემარკაციო პროცესი დაიწყოს, რაც ოკუპაციის დაკანონებას ნიშნავს. ლავროვის მოადგილემ ეს განცხადება ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მმართველებთან საუბრის დროს, ჟენევის მოლაპარაკებებამდე რამდენიმე დღით ადრე გააკეთა. რუსეთში ფიქრობენ, რომ ასე „სასაზღვრო ინციდენტებს“ აიცილებენ თავიდან... აღნიშნულ საკითხზე „ვერსია“ ევროპელი დემოკრატების ლიდერ პაატა დავითაიასთან ინტერვიუს გთავაზობთ:

– რუსეთმა გახსნა დიპლომატიური ომი საქართველოს წინააღმდეგ, რადგან სანამ ეს განცხადება გაკეთდებოდა ე.წ. საზღვრების დემარკაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით, გავიხსენოთ ორი კვირის წინ გაკეთებული განცხადება, როდესაც ევროკომისიამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საქართველოსთვის, ლავროვმა მიმართა ევროკავშირს – ჩვენ, რუსეთი, არ დავტოვებთ ამიერკავკასიას და ჩვენი მხრიდან იქნება ქმედებებიო. ამ განცხადების შემდეგ ველოდებოდი გარკვეულ პროვოკაციებს და აი, პირველი პროვოკაციული მომენტი გამოჩნდა და ეს ეხება ე.წ. საზღვრების დემარკაციას.

ამ მოთხოვნით, ფაქტობრივად, რუსეთი საქართველოსგან ითხოვს აღიარებას აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობისა იმიტომ, რომ „საზღვრების მონიშვნა“ ნიშნავს ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის და რუსეთმა რადგანაც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი აღიარა, ამიტომაც ამ თემას აყენებს ჟენევის ფორმატზე. რუსეთს რომ ჰქონდეს საუბარი, ადმინისტრაციული საზღვრები იყოს საქართველოშიო, კიდევ მესმის, მაგრამ ეს მოთხოვნა არ არის...

როდესაც ეს მოთხოვნა ჟენევის ფორმატში დადგება, საქართველოს მხარე ამას ვერ დაეთანხმება, ეს გამორიცხულია. ამიტომ, ეს ჩაიშლება და ამის შემდეგ ველოდები საფრთხეებს, მინდა, პირდაპირ ვთქვა, რასაც ნიშნავს ბორდერიზაციის გაგრძელება.

მინდა, მოვუწოდო საქართველოს მთავრობას, რომ მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინოს, რადგან ფაქტობრივად, ანექსიისკენ მიჰყავს რუსეთს ჩვენი ტერიტორიები.

მეორე საფრთხე – ე.წ. სამხედრო ელემენტი ნიშნავს ბორდერიზაციას და ამიტომ სასწრაფოდ მთელი პერიმეტრი ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრისა გასაძლიერებელია იმიტომ, რომ ცალსახად ჩანს – 15 დეკემბრის შემდეგ, ეს პროვოკაციები უფრო გაიზრდება. აქედან გამომდინარე, მთავარი მომენტია, საქართველოს მთავრობამ გააანალიზოს ეს სიტუაცია და დაიწყოს სწრაფი მოქმედებები უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რადგან საფრთხე აქვს ადგილობრივ მოსახლეობას. სეპარატისტთა ლიდერები აუცილებლად უნდა იყვნენ ძებნილნი, რადგან კრიმინალური მიდგომებისკენ იხრებიან და სეპარატიზმი არის ორგანიზებული დანაშაულის უმაღლესი ფორმა. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს იმიტომ, რომ მზადდება ანექსია.

ეს ღონისძიებებია სწრაფ რეჟიმში დაწყებით ეტაპზე გასატარებელი, რადგან კიდევ აღვნიშნავ – საფრთხეები ძალიან იზრდება. ხელისუფლება რაც უნდა ლოიალურ მდგომარეობაში იყოს რუსეთთან, რუსეთს ეს არ აინტერესებს, რადგან ხედავს, რომ ის კარგავს ამიერკავკასიას, რადგან აქ საუბარია საქართველოზე, სომხეთზეც... აზერბაიჯანშიც რუსი ჯარისკაცები არ დგანან და ეს მიანიშნებს, რომ რუსეთისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება საქართველოს ხელისუფალი. ის მკვეთრად იმოქმედებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. აქ არის მთავარი თემა – უნდა ვიცოდეთ, ჩვენ რა გვინდა და სად ვდგავართ, ამიტომ ეს საფრთხეები გაანალიზებული უნდა იყოს.

– სომხეთი რადგან ახსენეთ, აღსანიშნავია, რომ ნიკოლ ფაშინიანმა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას დაუჭირა მხარი, რამაც სეპარატისტთა ლიდერები აღაშფოთა...

– ეს არის უმნიშვნელოვანესი თემა იმიტომ, რომ ჩვენ რადგანაც ევროკავშირში შევდივართ... სომხეთი, რომელიც ფაქტობრივად ტოვებს „ოდეკაბე“-ს და ვიცით, რომ სომხეთი მიუერთდა „რომის სტატუსს“, რაც ნიშნავს, რომ ძებნილი პუტინი თუ ჩავა სომხეთში, დაპატიმრებული იქნება. ამიტომ, „ოდეკაბე“-დანაც გადის და ყარაბაღის მოვლენების შემდეგ დაიწყო დაახლოება ევროპასთან. ყველაზე საინტერესო არის ის, რომ შეიქმნა ფორმატი აშშ-სომხეთი-ევროკავშირი და ფორმატის სახელწოდებაა სომხეთის დაახლოება ევროკავშირთან.

დიდი ხანია,ფაშინიანსა და შარლ მიშელს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს და საქართველო არის ტრიგერი, რადგანაც სომხეთი უყურებს, თუ როგორ მოექცევა ევროკავშირი საქართველოს. თუ კანდიდატის სტატუსს მიიღებს, ეს იქნება ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა იმ კუთხით, რომ მოხდეს სომხეთის სწრაფ რეჟიმში (თუ ეს მოინდომეს სომხებმა) ევროკავშირისკენ სვლა.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ფაშინიანმა დილას გაიღვიძა და გაახსენდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თემა, ასე არაა. ეს მოხდა იმიტომ, რომ საქართველოა ტრიგერი ამ მოლაპარაკებაში და ეს პრინციპული პოზიციის დაფიქსირება იყო.

მინდა, ყველას შევახსენო, რომ სომხეთი კი აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ღია განცხადებებს არ აკეთებდა და ყველაზე საინტერესოა, რომ გაერო-ს გენერალური ასამბლეის ყველა რეზოლუციას, რაც ეხებოდა დევნილების დაბრუნებას, სომხეთი წინააღმდეგ აძლევდა ხმას. ესე იგი, ფაქტობრივად, ჩვენ გვქონდა პრეტენზიები სომხეთთან, მაგრამ დღეს სომხეთმა შეიცვალა პოზიცია და ღიად დააფიქსირა, რაც მისასალმებელია. ეს ხდება იმის გამო, რომ სომხეთი უყურებს, თუ როგორ მოექცევა ევროკავშირი საქართველოს. საქართველოს კანდიდატის სტატუსის შემდეგ, ეს სიტუაცია სომხეთის მიმართულებით უფრო გაძლიერდება, ამიტომ რუსეთისგან საფრთხეები იზრდება და ამას სჭირდება პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადიების სრული მობილიზება.

– რას გულისხმობთ? ოპოზიციამ რა შეიძლება გააკეთოს ასეთ დროს?

– ოპოზიციის მთავარი მომენტია და ხელისუფლებაა უფრო ამის მთავარი ინიციატორი – ეს არის 9 პუნქტის შესრულება და ამ მიმართულებით მუშაობა. დეპოლარიზაციის ტემპერატურის დაწევა მნიშვნელოვანია...

– რათა კანდიდატის სტატუსი მიიღოს საქართველომ?

– კანდიდატის სტატუსს მივიღებთ ჩვენ 15 დეკემბერს. მთავარია, შემდგომ დიალოგის გახსნა და მუშაობა ამ მიმართულებით.

ყოველთვის ვამბობდი, რომ დადებით რეკომენდაციას მივიღებდით, რადგან ჩართული ვარ ამ პროცესში, მაქვს უშუალო, პირდაპირი კონტაქტი სამუშაო რეჟიმში ევროკომისიასთან და ამიტომ ვამბობ – დარწმუნებული ვარ, 15 დეკემბერს, ჩვენ კანდიდატის სტატუსს მივიღებთ. შემდეგ მნიშვნელოვანია ფორმატული მუშაობა ამ მიმართულებით.

რა ქონებას ფლობს გიგა ბოკერია

მაკა რუხაძე

სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, როდესაც უშიშროების საბჭოს მდივნის პოზიციაზე მუშაობდა, კულუარებში ჩურჩულებდნენ, რომ „ნაციონალების“ გებელსი იყო... მას შემდეგ, რაც ნაციონალური მოძრაობა დატოვა და საკუთარი პარტია შექმნა, „სისხლისმსმელი ფაშისტის“ მკაცრი იმიჯიც ნელ-ნელა, თვალსა და ხელს შუა გაქრა. პრინციპში, თუ მის მეუღლეს დავუჯერებთ, რომელიც პოლიტიკოსის სახით, ოფიციალურად შეუერთდა „ევროპულ საქართველოს“, გიგა ბოკერიაზე კულუარებში მოარული ხმები ყოველთვის გადაჭარბებული იყო. რეალურად, ეს მართლაც ასეა, რადგან 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, გიგა ბოკერია და დავით ბაქრაძე იყვნენ ის პოლიტიკოსები დამარცხებული პარტიიდან, რომლებმაც მოწინააღმდეგეებს არჩევნებში გამარჯვება საჯაროდ მიულოცეს და ხელისუფლების გადაბარების პროცესშიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

სწორედ ამიტომ დავინტერესდით გიგა ბოკერიას ქონებრივი მდგომარეობით, თუმცა ვიდრე მის დეკლარაციას გაგაცნობთ, რომელიც სულ ბოლოს, 2021 წლის 31 დეკემბერს შეავსო, ჯერ მისი ბიოგრაფია გავიხსენოთ.

„ევროპული საქართველოს“ ლიდერის მოკრძალებული დეკლარაცია

გიგა ბოკერიას ბიოგრაფია

დაიბადა 1972 წლის 20 აპრილს, ცნობილი არქიტექტორის ლევან ბოკერიასა და ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონის, ნანა ალექსანდრიას ოჯახში. 1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ასევე, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ლისტერის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1996 წელს, ლევან რამიშვილთან, გივი თარგამაძესთან და დავით ზურაბიშვილთან ერთად, დააფუძნა ლიბერალური საჯარო პოლიტიკის ადვოკატირების არასამეწარმეო და არაპარტიული საზოგადოება „თავისუფლების ინსტიტუტი“, სადაც უფლებადაცვითი პროგრამების კოორდინატორი და შემდგომში უფროსი იურიდიული მრჩეველი იყო.

1989-1995 წლებში, გიგა ბოკერია სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეს-კლუბის აქტიური წევრი გახლდათ. 1992 წლიდან, ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩაერთო: ჯერ გაზეთის „7 დღე“ ჟურნალისტი და პოლიტიკური რედაქტორი იყო, შემდეგ სახელმწიფო რადიოს პირველი არხის გადაცემის „პიკის საათი“ ჟურნალისტი, რადიო თავისუფლების ჟურნალისტი, შემდეგ იყო „არგუმენტის“ პოლიტიკური რედაქტორი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის სადისკუსიო პროგრამის „აქცენტები“ წამყვანი.

2003 წელს, არაძალადობრივი რევოლუციების ტექნოლოგიის გაცნობის მიზნით, სერბეთში სტუმრობის შემდეგ, ბოკერია დაეხმარა ქართველ სტუდენტებს სერბულ მოძრაობა „ოტპორის“ აქტივისტებთან კონტაქტების დამყარებაში. ამან ხელი შეუწყო ახალგაზრდული მოძრაობა „კმარას“ დაფუძნებას, რომელმაც წამყვანი როლი ითამაშა 2003 წლის ნოემბერში, ვარდების რევოლუციის დროს.

2004-2008 წლებში იყო საქართველოს მეექვსე მოწვევის პარლამენტის წევრი, პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“; 2005-2008 წლებში – ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი; 2008 წლიდან – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო 2010 წლის ნოემბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი. 2013-2016 წლებში იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საერთაშორისო მდივანი.

2016-2020 წლებში – საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრი იყო პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 2017 წელს, თანამოაზრეებთან ერთად დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“ და შექმნა ახალი პარტია „ევროპული საქართველო“. 2017 წლის 27 მაისს, არჩეულ იქნა „ევროპული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარედ.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო სენაკი-ფოთი-ხობში.

რა ქონებას ფლობს ბოკერია

სულ ბოლოს, ქონებრივი დეკლარაცია 2021 წლის 31 დეკემბერს ჩააბარა. სწორედ ამის გამო, 2020 წლის დეკლარაციაც განვიხილოთ, რომლის მიხედვითაც პარლამენტში, გიგა ბოკერიას შემოსავალმა 48 143 ლარი შეადგინა. მისი მეუღლის, თამარ ჩერგოლეიშვილის შემოსავალმა კი ჯამურად, სამ სხვადასხვა პოზიციაზე – 93 126 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბერს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, ბოკერიას სახელზე უძრავი ქონება არ ფიქსირდება. მის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომობილი – Toyta Camry, რომელიც 2017 წელს შეუძენია. დეკლარაციის შევსების მომენტში, საბანკო ანგარიშზე – 4 177 ლარი ჰქონდა. 2019 წელს, მამისგან საჩუქრად მიუღია თანხა – 6 000 ლარი.

რაც შეეხება ოჯახის წევრებს, გიგა ბოკერიას მეუღლე, თამარ ჩერგოლეიშვილი ფლობს 75 კვ.მეტრი ფართობის ბინას თბილისში, მსუბუქ ავტომობილს, ასევე, ირაკლი ფარჯიანისა და ოლეგ ტიმჩენკოს ფერწერულ ტილოებს. აქედან, პირველი საჩუქრად მიუღია, ხოლო მეორე – 1 500 აშშ დოლარად შეუძენია. დეკლარაციის შევსების მომენტში, ნაღდი ფულადი თანხის სახით, 9 000 აშშ დოლარი ჰქონია.

2021 წლის 31 დეკემბერს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, გიგა ბოკერიას საკუთრებაში ისევ მსუბუქი ავტომობილი Toyta Camry, რომელიც 10 000 აშშ დოლარად შეუძენია 2017 წელს. ამავე დეკლარაციით, მის მეუღლეს ჰყავს BMW 120, რომელიც 29 000 ევროდ შეუძენია 2008 წელს. ფერწერულ ტილოებს, რომლებიც წინა წლის დეკლარაციაშია მითითებული, დაემატა ლადო გუდიაშვილის ტილო, რომელიც გიგა ბოკერიას შვილისთვის – კესარიასთვის უჩუქებიათ. დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ თამარ ჩერგოლეიშვილის სახელზე ფიქსირებულია თანხა 12 000 აშშ დოლარი, ხოლო გიგა ბოკერიას, როგორც პარლამენტის წევრს, შემოსავლის სახით 45 609 ლარი მიუღია. კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი, რაც 2021 წელს შევსებულ დეკლარაციაშია მითითებული ის გახლავთ, რომ გიგა ბოკერიასთვის მამას, ლევან ბოკერიას 20 000 ლარი უჩუქებია.

რა დარღვევები გამოვლინდა შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობაში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მორიგი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური შიდასახელმწიფოებრივი გზებით დაინტერესდა. აუდიტი, რომელიც 2021 წლის იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს, შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტს – SRAMP ეხება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ამ პროექტს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა გარკვეული ხარვეზები აღმოაჩინეს საავტომობილო გზების მშენებლობაში, მაგრამ იმავდროულად, ამ ხარვეზების გამოსასწორებლად, რეკომენდაციებიც შეიმუშავეს.

ზოგადი მიმოხილვა

ვიდრე უშუალოდ დარღვევებს განვიხილავთ, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობამ, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს გზების დეპარტამენტის სახით, 2016 წელს, შედეგზე დაფუძნებული შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი – SRAMP დაიწყო. ეს პროექტი დაფინანსებულია საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის – „იბიარდის“ (IBRD) მიერ გაცემული სესხით.

პროექტის მიზნებია: გზით მოსარგებლეებისთვის სოციალურ სერვისებსა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის მდგრადი ფორმით გაუმჯობესება, პროექტით გათვალისწინებული გზების მეშვეობით; საქართველოში შიდასახელმწიფოებრივი გზების ქსელის აქტივების მართვის გაუმჯობესება.

აუდიტის ჯგუფმა განიხილა გურიის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისა და მისი შემდგომი შესრულების პროცესი, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით – ორი და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით – ოთხი პროექტირება-მშენებლობის პროექტების მიმდინარეობის პროცესი. გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ზედამხედველი კონსულტანტების ყოველთვიური ანგარიშები, შუალედური გადახდის სერტიფიკატები გზების პროექტირება-მშენებლობისა და რეაბილიტაციის კონტრაქტები და მათი შესაბამისობა პროექტის მართვის სახელმძღვანელოსთან, ასევე, პროექტის შეფასების დოკუმენტთან.

აუდიტის ჯგუფმა ტექნიკური და გარემოსა და სოციალურ საკითხთა ექსპერტების მიერ მოწოდებული წინასწარი და საბოლოო ანგარიშებიც განიხილა, რათა განესაზღვრა პროექტირება-მშენებლობის და გურიის რეგიონში სარეაბილიტაციო კონტრაქტების ფარგლებში, შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების რეაბილიტაციისა და გაუმჯობესების მდგომარეობა.

ამასთან, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით საკომპენსაციო თანხების საკითხი და გზების უსაფრთხოების ინტეგრაცია აქტივების მართვის პროცესში. განხილულ იქნა განახლებული ხუთწლიანი პროგრამისა და მეექვსე წლისთვის მომზადებული გეგმის შესაბამისობა „გზების აქტივების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის მრავალწლიანი გეგმის მომზადების სახელმძღვანელოსთან“, ასევე კლიმატური მდგრადობის პრიორიტეტული ღონისძიებებისთვის შემუშავებული დეტალური დიზაინი და სატენდერო დოკუმენტები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, წინა წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2021 წელს, 7 201 839 აშშ დოლარი გაიხარჯა.

დარღვევები ხიდისთავი-ატენი-ბოშურის პროექტში

აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი – SRAMP ითვალისწინებს ხიდისთავი-ატენი ბოშურის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციას. გზის კონკრეტული მონაკვეთის გაფართოებისთვის საჭირო იყო მიმდებარე სოფლებისთვის განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება. განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდა 2018 წლის ივლისში, იმავე წლის 14 სექტემბერს, შეთანხმდა მსოფლიო ბანკთან და ითვალისწინებდა 40 მიწის ნაკვეთის ნაწილობრივ შეძენას.

„განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებისას გაირკვა, რომ რუკაზე, მიწების საკადასტრო მონაცემები საჯარო რეესტრში არასწორად იყო დარეგისტრირებული. მიწის მესაკუთრეებს გზების დეპარტამენტთან კოორდინაციით მოუწიათ მათი ხელახალი რეგისტრაცია. მთლიანობაში, 2018 და 2019 წლებში შეძენილ იქნა, შესაბამისად, 8 და 5 მიწის ნაკვეთი. გადახდილმა კომპენსაციამ 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 16 004 ლარი, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრისთვის – 21 532 ლარი. აუდიტის ჯგუფმა განიხილა კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი დოკუმენტი. საჯარო რეესტრის მონაცემებით, 13 მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება სათანადო წესით გადაეცა გზების დეპარტამენტს. საკომპენსაციო თანხები გადახდილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფომ საკუთრებაში მიიღო 6 მიწის ნაკვეთი, თანაც ყოველგვარი კომპენსაციის გადახდის გარეშე, რადგან ფიზიკურმა პირებმა ვერ შეძლეს ამ მიწების დარეგისტრირება. აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დარჩენილ 21 მიწის ნაკვეთზე, კონკრეტული აქტივობების განხორციელების აუცილებლობა აღარ იყო.

დარღვევები თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის პროექტში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP) ითვალისწინებს თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის გზის მონაკვეთის (1კმ-დან 30კმ-მდე) რეაბილიტაციას. გზის კონკრეტული მონაკვეთის გაფართოება საჭიროებდა მიმდებარე სოფლებისთვის განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებას.

დასასრული მე-8 გვერდზე

რა დარღვევები გამოვლინდა შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობაში

მე-7 გვერდიდან

„პროექტი მოიცავდა 132 მიწის ნაკვეთს, საიდანაც 115 მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს საკუთრებაში იყო. შესაბამისად, განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდა მიწის 17 ნაკვეთზე და 2019 წლის 21 მაისს, შეთანხმდა მსოფლიო ბანკთან. აუდიტის ჯგუფმა განიხილა კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი დოკუმენტი. საჯარო რეესტრის ინფორმაციის თანახმად, შეძენილ მიწის 4 ნაკვეთზე საკუთრების უფლება სათანადო წესით გადაეცა გზების დეპარტამენტს. საკომპენსაციო თანხები გადახდილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2020 წელს, მიწის შესყიდვის მიზნით, 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სულ გადახდილია 261 700 ლარი. თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის გზის მონაკვეთზე განსახლების გეგმასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები 2021 წელს არ განხორციელებულა. თუმცა, 2022 წელს, აღნიშნული მიწის ნაკვეთები მოხვდა მინიმალიზაციაში, შესაბამისად, არ გახდა საჭირო განსახლების პროცედურის ჩატარება. აუდიტორების მტკიცებით, ამ ფაქტს ადასტურებს, როგორც გზების დეპარტამენტის წარმომადგენელი, ასევე, შესაბამისი ექსპერტი გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში.

დარღვევები გურიის რეგიონის პროექტებში

რაც შეეხება გურიის რეგიონს, შვიდივე საპროექტო ლოტისთვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მომზადებულია და ხორციელდება შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა – ARAP. ARAP-ის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტორებმა დაადგინეს, რომ გზების რეაბილიტაციის დროს (7 ლოტი) მოსალოდნელია მცირე დროებითი ზემოქმედება მითითებული და/ან კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ზოგიერთ ღობეზე არსებული გზის გასწვრივ განთავსებული მიწისქვეშა წყლის მილების შეცვლისას.

„საერთო ჯამში, შვიდივე ლოტის სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთებზე იდენტიფიცირებულია 78 ადგილი, სადაც პროექტის ზემოქმედების ქვეშ ექცევა იქ არსებული ღობეები, 70 – კერძო საკუთრებაში, ან გამოყენებული და 8 – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, რისთვისაც ARAP-ით გათვალისწინებულია შესაბამისი ღონისძიებები მოსალოდნელი ზემოქმედების შესამცირებლად.

იქიდან გამომდინარე, რომ ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებში მოსალოდნელი იყო 10 კერძო საკუთრებაზე სავარაუდო ზემოქმედება, SRAMP-ის ფარგლებში აღარ განხორციელდა და თავიდან იქნა აცილებული ზემოქმედება 10 ნაკვეთზე“.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროექტების ფარგლებში ამოქმედებულია საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმი. საანგარიშო პერიოდში, დაფიქსირდა 40 საჩივარი. როგორც სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, ამ 40 საჩივრიდან, 17 – მიმდინარეა, 2 – უკვე მოგვარდა, მაგრამ ჯერ არ დასრულებულა, 1 – მოლოდინის რეჟიმშია, 15 – დაიხურა, 5 – განხილულ იქნა და უარყოფილია.

ხარვეზები სხვადასხვა გზების მშენებლობაში

ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზის მონაკვეთის ადგილზე დათვალიერების შედეგად, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ გარკვეული სამუშაოები შესრულებული იყო დაბალი ხარისხით; რკინა-ბეტონის კიუვეტებზე შეინიშნებოდა სეგრეგაციის ნიშნები, რაც გამოწვეული იყო რკინა-ბეტონის მილების შეერთებასთან დაკავშირებული დაბალი ხარისხის სამუშაოებით, რის გამოც გამსვლელ მილში წყალი ვერ ხვდებოდა; გზის გარკვეული მონაკვეთების გეომეტრიული მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საპროექტო მონაცემებისგან.

„ჟინვალი-ბარისახო-შატილის შიდა სახელმწიფოებრივი გზის მონაკვეთზე გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება: მიმღები კონსტრუქციიდან, მილი არ ატარებდა წყალს გამშვებ კონსტრუქციამდე. ზემოაღნიშნული შეუსაბამობების გათვალისწინების გარეშე, ტექნიკური ექსპერტი მიიჩნევს, რომ გზაზე გადაადგილება უსაფრთხოა და შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. გარდა ამისა, გზის გარკვეულ მონაკვეთებზე შესრულებული სამუშაოების ხარისხი იყო დაბალი, ტროტუარის სიგანე არ შეესაბამებოდა საქართველოში მოქმედ სამშენებლო სტანდარტებს და ნორმებს; საყრდენი კედლის ზომები უმნიშვნელოდ აღემატებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; შეინიშნებოდა დაზიანებული ასფალტის საფარი; ასფალტის საფარის გეომეტრიული მახასიათებლები არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; მილის ქანობი მცირედით აღემატებოდა საპროექტო მონაცემს; შეინიშნებოდა დაზიანებული გამსვლელი სათავისის კედელი; კედლის სისქე არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს“.

გარდა ამისა, აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ლითონის ზღუდარები უხარისხოდ იყო მოწყობილი; განივი ქანობები არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; გამსვლელი სათავისის გეომეტრიული მახასიათებლები არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; ძირითად საპროექტო მონაკვეთზე შეინიშნებოდა გრძივი და განივი ბზარები, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ასფალტის საფარის მოწყობის დროს გადაბმის ადგილების არასათანადოდ იყო დამუშავებული.

„ხიდისთავი-ატენი-ბოშურის გზის მონაკვეთზე, გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება: საყრდენი კედლის არმირებას არ ჰქონდა დამცავი ბეტონის ფენა; საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზის მონაკვეთზე, რკინა-ბეტონის მილის სექციები აცდენილია, ხოლო გადაბმის ადგილები არ არის ამოლესილი საპროექტო მოთხოვნების შესაბამისად; წყალგამშვებ კედელთან ქვაბული სათანადოდ დამუშავებული არ არის, რაც ხელს უშლის წყლის მილიდან გადინებას; მილის ქანობი უმნიშვნელოდ მცირეა პროექტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან შედარებით“.

რეკომენდაციები

დარღვევების გამოვლენასთან ერთად, სახელმწიფო აუდიტორებმა რეკომენდაციებიც შეიმუშავეს. კერძოდ, გზების სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავებულია და დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის, შესრულებული სამუშაოების ტიპზე, საავტომობილო ნაკადის ინტენსივობასა და ადგილობრივ კლიმატზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გაარკვია, რომ გზების დეპარტამენტის მიერ წლიური გეგმის შემუშავების პროცესში არ მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი გზების სავარაუდო, სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. შედეგად, გზების დეპარტამენტს არ აქვს შესაძლებლობა დაასაბუთოს, ირჩევს თუ არა საუკეთესო ვარიანტს მოვლა-შენახვას, პერიოდულ მოვლა-შენახვასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებს შორის.

„შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია, გზების დეპარტამენტმა შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გზების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას, სამუშაოების ტიპის მიხედვით. შეფასება შესაძლებელია წარსული გამოცდილების, სამუშაოების ტიპის, წლის საშუალო დღიური ნაკადისა და რეგიონული კლიმატის საფუძველზე. აუცილებელია, სხვადასხვა სამუშაოს (მოვლა-შენახვა, პერიოდული მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია) მოსალოდნელი შედეგების ურთიერთშედარება, შემდგომში მათგან ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად“.

რაც მთავარია, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არ არსებობს გზების, ხიდების, მაგისტრალებისა და საგზაო გვირაბების მშენებლობასთან დაკავშირებული ეროვნული ტექნიკური რეგულაციები და სტანდარტები. 2021 წელს, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა ჩაატარა თემატური კვლევა, სამშენებლო სექტორში ერთიანი სტანდარტების დანერგვის პრობლემებთან დაკავშირებით. გზების დეპარტამენტმა გამოითხოვა აღნიშნული ინფორმაცია და გამოხატა მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღო ახალი რეგულაციებისა და სტანდარტების შემუშავებასა და დანერგვაში.

სამართალი

№46 6 დეკემბერი 2023 წ

„ძმა მოსაკლავად დამდევს!“

ვინ იყო რეალური დამნაშავე და ვისი დახმარებით გახსნა გამოძიებამ ჩახლართული საქმე

ბათო ჯაფარიძე

სიყვარულის ყველა ისტორია, თავისი დასაწყისითა და ფინალით, ალბათ, უნიკალურია. ისტორიები მხოლოდ ფილმებში მეორდება, რეალურ ცხოვრებაში კი სულ სხვაგვარადაა. სიყვარული რაღაცით ბედნიერებასა და უბედურებასაც ჰგავს – ბედნიერი ადამიანი ერთნაირად ბედნიერია, ყველა უბედურს კი, უბედურების საკუთარი ისტორია აქვს. ასეა, შეყვარებული ადამიანი დაფრინავს და ვერ ხვდება, რა ხდება მიწაზე, რადგან ის ღრუბლებს ზემოთაა, უსიყვარულოიბით დატანჯული კი...

პოლიციის განყოფილებაში ახალგაზრდა კაცი მივიდა და განცხადება დაწერა, ჩემი ძმისგან დამიცავით, თორემ აუცილებლად მომკლავსო. როგორც გაირკვა, სამი წლის წინ, მისი ძმა ჩხუბის გამო დააკავეს, ქუჩაში ვიღაცას შეეკამათა, რაც შემდეგ ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა და უცნობს ისე დაარტყა, მან სერიოზული დაზიანება მიიღო, შემდეგ პატრონი გამოუჩნდა და ხულიგნობა სისხლის სამართლის დანაშაულად გადაუკვალიფიცირეს, ძარცვის მცდელობა დაარქვეს და სამი წლით ციხეში გაისტუმრეს. ასე ცოტა იმიტომ მისცეს, რომ დაკავებული მანამდე კრიმინალურ ქმედებაში არ ყოფილა შემჩნეული და სამეზობლო-სამეგობროც დადებითად ახასიათებდა. ჰოდა, ძმამ ძმას სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ერთადერთი რამ დაუბარა – ჩემს საცოლეს მიხედე, სანამ ციხიდან გამოვალ, არავინ აწყენინოსო. საცოლე სტუდენტი იყო, ნაქირავებში ცხოვრობდა და ერთ დღესაც, თავისი საქმროს ძმას შინ ბარგი-ბარხანით დაადგა, „ხაზეიკამ“ ბინა დამაცლევინა, წასასვლელი არ მაქვს და სანამ ახალს ბინას ვიშოვი, თუ შეიძლება, აქ ვიცხოვრებო. ძმაც დათანხმდა, მომავალი ქმრის ოთახში შეგიშვებო და ასე დარჩა გოგო სახლში, საქმროს ძმასთან. მერე, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთ მშვენიერ დღეს ერთად დალიეს, იცეკვეს, იმღერეს და დილით ერთ ლოგინში გაიღვიძეს. რა უნდა ექნათ? ივიშვიშეს, მაგრამ ისე ჩანდა, ერთად ყოფნა მოეწონათ და ორ თვეში ხელიც მოაწერეს. ძმამ ყველაფერი ეს ციხეში გაიგო და დაიმუქრა, რომ გამოვალ, ორივეს გაგისწორდებითო.

ჰოდა, ძმას გათავისუფლება მოუწია, ორი კვირის გამოსული უნდა იყოსო, ამბობდა ის, ვინც განცხადება დაწერა და თან ექიმის დასკვნას აჩვენებდა – ათი დღის წინ, მას სადარბაზოში დაესხნენ თავს, თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს და სიკვდილს მართლა სასწაულებრივად გადაურჩა. სხვა მტრები არ მყავს, ერთადერთი, ძმას შეეძლო ჩემი სასიკვდილოდ გამეტება და გთხოვთ, დამიცავითო. წყვილი უკვე პატარა გოგონას ზრდიდა და სავარაუდოდ, ციხიდან გამოსულს ესეც გააბრაზებდა. სამართალდამცავებმა ძმის ძებნა დაიწყეს და მალე მიაგნეს – მეგობრის სახლში ცხოვრობდა.

„ჩემს ძმას თავს დაესხნენ? და მე რა შუაში ვარ? ციხეში ყველაფერი გადავხარშე, ალბათ, ასე იყო საჭირო და იქ დაბრუნებას აღარ ვაპირებ. აგერ, ადვოკატი ავიყვანე, ჩემი საქმის შესწავლა დაიწყო, სამოთახიანი ბინა მშობლებისგან გვერგო, მგონია, რომ მეც ვიმსახურებ წილს. ის ცოლშვილიანია, ამიტომ ბინა დაახურდაოს, მე ერთოთახიანი მიყიდოს, დანარჩენი ფულით კი, ან ოროთახიანს იყიდის თავისთვის, ან ფულს დაამატებს და ისევ სამიანს შეიძენს. მოკლედ, მე ერთი ოთახი მჭირდება, მეგობარი რომ არ შევაწუხო და ქირა არ ვიხადო, მეტი ჩემი ძმისგან არაფერი მინდა. რაც შეეხება თავდასხმას, მაგ დღეს, ღამის ცვლაში ვიყავი, ვაგონებს ვტვირთავდით და ჩემს გარდა კიდევ შვიდი კაცი მუშაობდა, ყველა დამეთანხმება, რომ იქიდან წუთითაც კი არსად გავსულვარ“, – განაცხადა მთავარმა ეჭვმიტანილმა და მისი ალიბი დადასტურდა.

გამოძიება სხვა მიმართულებით წავიდა, სამსახურში მოიკითხეს დაზარალებული და გაარკვიეს, რომ თანამშრომლებთან ცუდი ურთიერთობა არ ჰქონდა, განყოფილების უფროსადაც დააწინაურეს, მაგრამ... ერთ-ერთ თანამშრომელს ჰყვარობს და დიდი შანსია, მისმა ქმარმა გაიგო და შური სწორედ მან იძიაო. საკითხი ძალიან დელიკატური ჩანდა, მაგრამ ქმრის ალიბი ხომ უნდა გადაემოწმებინათ და ამიტომ, მასთან შინ მივიდნენ, თუმცა სახლში მარტო ქალი დახვდათ, ქმარი თვეზე მეტია, სხვაგან ცხოვრობსო და მისამართი დაუსახელა. სამართალდამცავებმა ქმრის საყვარლის ანუ თანამშრომლის ქმარიც მოიკითხეს:

„ვიცი, რომ ცოლი მღალატობს და მარტო იმ იდიოტთან კი არა, კიდევ ოთხი საყვარელი ჰყავს და ესეც ვიცი. ამიტომ, კონფლიქტი და საქმის გარჩევა არ დამიწყია, რამდენს უნდა ვდიო და ვეჩხუბო? განქორწინებაზე მაქვს შეტანილი განცხადება და მერწმუნე, როცა იმ ქალს დავშორდები, ზუსტად მეორე დღეს, ახალ განცხადებას შევიტან და იმ ქალს მოვიყვან, რომელიც დიდი ხანია, მიყვარს და ვისთანაც საცხოვრებლად გადმოვედი“, – განაცხადა მეორე ეჭვმიტანილმა და სავარაუდო დამნაშავის სიიდან ისიც ამოირიცხა.

ამასობაში, დაზარალებულზე მეორე თავდასხმა განხორციელდა, ისევ სადარბაზოში, ისევ თავში ჩაარტყეს და ამჯერად, მდგომარეობა უფრო რთულად იყო – ექიმები თავის ქალის გატეხილობაზე აკეთებდნენ აქცენტს, თუმცა ერთი საინტერესო და გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი დეტალიც გახდა ცნობილი. როცა მამაკაცს თავს დაესხნენ, ამ დროს სადარბაზოში მეზობელი ქალი შევიდა, თავდამსხმელმა მეორედ ჩარტყმა ვეღარ მოასწრო და გაიქცა, ოღონდ სადარბაზოდან კი არ გაიქცა, არამედ, კიბეს აუყვა და სავარაუდოდ, სახურავზე ავიდა, იქიდან კი ან სხვა სადარბაზოში ჩავიდა და გაიქცა, ან... ან იმავე კორპუსში ცხოვრობდა და ბინაში შევიდა. დაიწყო კორპუსის მცხოვრებლების შესწავლა, მაგრამ ისეთი არავინ ჩანდა, ვინც მამაკაცის სიკვდილით იქნებოდა დაინტერესებული. ერთადერთი, მისი თანამშრომელი ცხოვრობდა გვერდით სადარბაზოში, მაგრამ წესით, არც მას უნდა ჰქონოდა რამე ინტერესი. ყოველი შემთხვევისთვის, სამართალდამცავებმა მის შესახებ ინფორმაციის შეგროვება დაიწყეს და გაარკვიეს, რომ განყოფილება, რომელსაც დაზარალებული ხელმძღვანელობდა, წესით, სწორედ მეზობლისთვის უნდა მიეცათ, მაგრამ ბოლო მომენტში უფროსობამ გადაიფიქრა. შესაძლოა, ესეც ყოფილიყო მოტივი იმისა, რომ კონკურენტი მოეშორებინა, მაგრამ სამსახურის გამო მკვლელობა... ლოგიკაში არ ჯდებოდა, თუმცა კაცია და გუნებაო, ხომ გაგიგიათ. სავარაუდო ეჭვმიტანილი ყოველი შემთხვევისთვის დაჰკითხეს, მაგრამ მან ხელი მეზობლისკენ გაიშვირა, მეთელი ორი საათი მის აბაზანაში ხელსაბანს ვარემონტებდი, მარტოხელა ქალია და მუდმივად ვეხმარები, ჩემს ცოლთან დაქალობს და გადასარევი მეზობლობა გვაქვსო. ქალმაც დაადასტურა, რომ მეზობლის კაცი მართლაც ხელსაბანს აკეთებდა და როცა საქმეს მორჩა, შემდეგ საკვებითაც გაუმასპინძლდა. ეს ვერსიაც არ გამართლდა.

სამართალდამცავებმა დაზარალებულის პალატასთან დაცვა დააყენეს და იმაზე დაიწყეს ფიქრი, ვის შეიძლებოდა ჰქონოდა სურვილი და რაც მთავარია მოტივი, მოეკლა კაცი, რომელსაც თითქოს მტერი არ ჰყავდა. ვისზეც კი ეჭვი მიიტანეს, ყველას მყარი ალიბი აღმოაჩნდა, მაგრამ... აგენტურულმა ქსელმა ძალიან კარგად იმუშავა და გამოძიებამ იცოდა, რომ თანამშრომელი, რომელიც ხელსაბანს აკეთებდა, რეალურად იმ ქალის საყვარელი იყო და ძალიან დიდი გახლდათ იმის ალბათობა, რომ ქალი საყვარელს ხელს აფარებდა და არ სურდა, გაეცა. ამიტომ, მასზე თვალთვალი დააწესეს და ცდილობდნენ, მამაკაცი რამეში გამოეჭირათ, თუმცა ბევრი მცდელობა საჭირო არ იყო – განყოფილებაში ორი დღის შემდეგ, თავად ქალი მივიდა.

„დამნაშავე ეს ბედოვლათია. პირველადაც და მეორედაც სწორედ ის ცდილობდა მეზობლის მოკვლას, რასაც ორი მიზეზი ჰქონდა – სამსახური ანუ განყოფილების უფროსობა, რომელიც ცხვირწინ ააცალეს და მეორე – ის დაზარალებული ერთხელ, წვეულებაზე გვარიანად დათვრა, დათვრა ამ შტერის ცოლიც და გვერდით სადარბაზოში მე წავასწარი, როცა ერთმანეთს ეხვეოდნენ. ეს შტერი დამპირდა, ცოლს დავშორდები, შენ შეგირთავო, მაგრამ ახლა, როცა ალიბი გავუნაღდე, როცა მე ვუვლიდი, მე ვასმევდი და ვაჭმევდი მის საყვარელ კერძებს, გამომიცხადა, ცოლთან დაშორებას არ ვაპირებ, არც შენი შერთვა მინდა, აღარც იმ კაცს დავესხმები თავს, რაც არის, ეგ არისო. სამი წელი ამ დებილს ვიტანდი მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახი მქონოდა, რომ გავთხოვილიყავი და ახლა, თურმე, გადაიფიქრა. ეს არის დამნაშავე და დასაჯეთ“, – ბოლო ხმაზე გაჰკიოდა ქალი.

მისი ჩვენების შემდეგ, მამაკაცი იძულებული იყო, ყველაფერი ეღიარებინა და ჩადენილი დანაშაული დეტალებში აღეწერა. ის დარწმუნებული გახლდათ, რომ აღიარებითი ჩვენება და სურვილი, რომ მეზობელს აღარ გასწორებოდა, მის დანაშაულს შეარბილებდა და პირობითით გამოძვრებოდა, მაგრამ პროკურატურამ მას ბრალად მკვლელობის მცდელობა წაუყენა (სავსებით ლოგიკურად და სამართლიანად), სასამართლომ კი 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას ცოლი სასამართლო პროცესის დასრულებამდე დაშორდა, დაზარალებულმა კი, ძმას, რომელსაც საცოლე წაართვა, ერთოთახიანი ბინა უყიდა.

რატომ გაიტაცა მეჯვარემ ქორწილიდან პატარძალი

უცნაური კრიმინალი, რომლის გამოც ციხეში არავინ წასულა

ბათო ჯაფარიძე

ქორწილი – ყველაზე ბედნიერი დღე წყვილის ცხოვრებაში. რაც უნდა მოხდეს შემდეგ, ქორწილის დღეს, წყვილის 99.99% ძალიან ბედნიერია და სწორედ მაშინ ჰგონია, რომ სამყარო მის გარშემო ტრიალებს. მერე კი იწყება ყოველდღიური რუტინა, რომელსაც ბავშვი ალამაზებს, მაგრამ ყოველთვის ყველაფერი ასე არ ხდება. არცთუ იშვიათად, ბავშვი ზედმეტი ბარგი ხდება ერთ-ერთი მშობლისთვის, ან საქმეები ისე არ ეწყობა, როგორც წყვილი ფიქრობდა, ბევრი მხოლოდ მას შემდეგ ხვდება, რომ სამყარო სულ სხვაგვარია, როცა ოჯახურ პრობლემებს ეჯახება და აღმოაჩენს, რომ არც ოჯახის რჩენის თავი აქვს და რაც მთავარია, არც ამის სურვილი. უბრალოდ, ის ამისთვის მზად არ არის... მაგრამ, ყველაფერი ეს ქორწილის დღეს არ ეხება, რადგან მაშინ ამაზე არავინ ფიქრობს და ბედნიერებით ტკბება.

„ჩემი მეგობრის შვილის ქორწილი იყო. ურიგოდ ნამდვილად არ მოვილხინე და შინ კმაყოფილი დავბრუნდი. სახლში მისულს, ჩემი მეგობრის შვილმა ანუ სიძემ დამირეკა და მითხრა, რომ პატარძალი გაქრა. თავიდან არ დავუჯერე, მაგრამ როცა მას შევატყვე, რომ განწირული ხმა ჰქონდა, მაშინვე წავედი. მისი მონაყოლი საინტერესო და ცოტა მისტიკურიც იყო. ცოლთან ერთად, პირველი ღამის გასატარებლად, საკმაოდ კარგ სასტუმროში წავიდა, სააბაზანოში შევიდა, ცოლი ლოგინზე იყო წამოწოლილი და რომ გამოვიდა, მეუღლე ადგილზე არ დახვდა. თავიდან ეგონა, რომ პატარძალი დაემალა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ დამალობანას არავინ ეთამაშებოდა. სასტუმროს დაცვის თანამშრომელი ბიჭი ამბობდა, ქალს აქ არ გაუვლიაო, სასტომროში კი ვერსად მიაკვლიეს“, – მიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

პირველ რიგში, გამომძიებელმა დაცვის თანამშრომელი გამოჰკითხა და მაშინვე მიხვდა, რომ ის რაღაცას მალავდა. ამიტომ, მარტივად აუხსნა, ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაგეკისრება და პირადად ვიზრუნებ, ციხე ასე 2-3 წელი რომ ხეხოო და ბიჭმაც დაიწყო:

„როცა ყველა დაბინავდა, ჩემთვის ვიჯექი და მზესუმზირას ვაკნატუნებდი. ქორწილიც აქვე იყო და მთვრალი ხალხი რომ წავიდა, გამიხარდა. მოულოდნელად, ვიღაც გოგო გამოჩნდა, შამპანურით ხელში, ნასვამი იყო, გადამეხვია, მაკოცა, ისეთი დეკოლტე ეცვა, სახეზე არც შემიხედავს. ჰოდა, გავთამამდი, ხელების ფათური დავუწყე და აქ არაო, ასე მითხრა. გარეთ ჩემი ძველი „ოპელი“ დგას და იქ გავედით. დაახლოებით, 20 წუთი ვერა და ვერ გავხადე, ჯერ მომეფერეო, ამბობდა, მერე წყალზე გამომაგზავნა და რომ დავბრუნდი, მანქანაში აღარ დამხვდა. ალბათ, სწორედ იმ პერიოდში გაიპარა გოგონა სასტუმროდან“, – თქვა დაცვის ბიჭმა და არ სჯეროდა, რომ პატარძალი ვინმემ მოიპარა.

შოკირებული იყო ოჯახიც, არავის სჯეროდა, რომ პატარძალი თავისი ნებით გაჰყვებოდა ვინმეს და რაც მთავარია, დედა შიშობდა, ჩემმა შვილმა ინსულინი თუ არ გაიკეთა, მოკვდება, დიაბეტი აქვსო. ინსულინის შპრიცი სასტუმროს ნომერში დარჩა და გოგონა რომ საკუთარი ნებით ყოფილიყო გაპარული, ცხადია, სიცოცხლისთვის საჭირო წამალს არ დატოვებდა, თანაც, სასტუმროს გასასვლელში მდგარ უნრაში, ნაჭერი იპოვეს, რომელსაც ქლოროფორმისს სუნი ჰქონდა ანუ პატარძალი სწორედ ამ ნაჭრით დააძინეს და სასტუმროდან გათიშული გაიყვანეს. უდიდესი ალბათობით, ის სექსუალური გოგონა, რომეელმაც დაცვის თანამშრომელი მოხიბლა, საქმეში იყო. ქორწილში მომუშავე ფოტოგრაფს ფოტოების სასწრაფოდ დაბეჭდვა სთხოვეს და დაცვის ბიჭს ანახეს, ის გოგო ხომ არ გეცნობა, შენ რომ თავბრუ დაგახვიაო. ბიჭი ყურადღებით აკვირდებოდა ფოტოებს და მერე მორცხვად თქვა, სახე თითქმის არ მახსოვს, ისეთი დეკოლტე ეცვა, ხანდახან მკერდი უვარდებოდა და მხოლოდ მას ვუყურებდიო. სამართალდამცავები დარწმუნდნენ, რომ გოგონამ ზუსტად გათვალა და არც შემცდარა – სურათი კი არა, მის წინ იგივე გოგონა რომ დაეყენებინათ, დაცვის თანამშორმელი მაინც ვერ ამოიცნობდა.

გოგონას მშობლები იმაზეც ნერვიულობდნენ, რომ მეორე დღეს, მას საკონკურსო ნამუშევარი უნდა წარედგინა, რომლის შემდეგაც, ქალაქის ურბანული განვითარების გეგმას სწორედ მისი ნაშრომით დააამტკიცებდნენ. გარდა იმისა, რომ სოლიდური თანხა ერგებოდა, ის უშუალოდ იქნებოდა ჩართული პროცესში და კარიერული წინსვლა გარანტირებული ექნებოდა.

„ჩვენ ერთ კურსსა და ერთ ჯგუფში ვსწავლობთ, ერთად ვემზადებოდით პროექტისთვის, ერთად დავწერეთ, ორივემ წარვადგინეთ, მაგრამ წინასწარი მონაცემებით ვიცოდით, რომ სწორედ მისი პროექტი გაიმარჯვებდა. კატასტროფა იქნება, თუ ის წარდგენაზე ვერ მივა, პროექტს არ განიხილავენ. ისე, არ გამოვრიცხავ, ყველაფერი ეს სიძის დედინაცვლის ბრალიც იყოს. შემთხვევით მოვისმინე, როგორ ეუბნებოდა თავის გერს, რატომ მოგყავს ეს გოგო, მასზე უკეთესებიც არიან, დაგღუპავს, მთელ ცხოვრებას გაგიმწარებს და შევეცდები, ეს საქმე არ დასრულდეს, ეგებ, პატარძალს გადავაფიქრებინოო“, – წუწუნებდა პატარძლის მეჯვარე.

„ეს უკვე საინტერესო იყო და ამიტომ, სიძის დედინაცვალი ანუ ჩემი მეგობრის ცოლი დაკითხვაზე დავიბარე და მის მიერ ნათქვამი სიტყვების ახსნა ვთხოვე. მან არ დამალა, რომ საკონკურსო ჟიურიში მისი მეგობარი ქალი ირიცხებოდა და ის იყო ერთადერთი მანდილოსანი ხუთ კაცს შორის. ჰოდა, სწორედ დაქალმა უთხრა, რომ კონკურსანტი, რომელიც გაიმარჯვებდა, გარყვნილი იყო, რადგან ჟიურის ყველა წევრთან ეძინა და ისინი ასე „დაკერა“. არც პროექტი ჰქონდა ცუდი, მაგრამ სასურველ შედეგს სწორედ ლოგინის გავლით მიაღწია. ჰოდა, ზედ ქორწილის წინა დღეს გაიგო დედინაცვალმა, რომ პროექტში გამარჯვებული მისი მომავალი რძალი იქნებოდა, ქმარს ვერ გაუბედა, გერს კი უთხრა, რაც ხდებოდა, მაგრამ მან არ დაუჯერა, თუმცა დედინაცვალი კატეგორიულად უარყოფდა მის გატაცებას, ნამდვილად არ მაქვს სურვილი, ვიღაც გარყვნილის გამო ციხეში წავიდეო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ამასობაში, ვიღაცამ განყოფილებაში დარეკა და განაცხადა, რომ ქორწილიდან გატაცებული პატარძალი ერთ-ერთი სახლის სარდაფში იყო დამალული. სამართალდამცავები მაშინვე მითითებულ მისამართზე გაემგზავრნენ და გოგონა მართლაც ნახეს, რომელიც უმძიმეს დღეში იყო. ინსულინის დოზამ ის აზრზე მოიყვანა, მაგრამ საინტერესო ვერაფერი გაიხსენა. როცა ქმარი აბაზანაში შევიდა, კარზე დააკაკუნეს და უთხრეს, რომ სასტუმროს ადმინისტრაცია ახლადდაქორწინებულებს საჩუქარს სთავაზობდა. გოგონამ კარი გააღო, იქ ვიღაც ნიღბიანი დახვდა, რომელმაც რაღაც ნაჭერი ააფარა ცხვირზე, შემდეგ კი იმ სარდაფში მოვიდა აზრზე. მერე, როცა შაქრის გამო ცუდად გახდა, გამტაცებელმა შემოიხედა და მას უთხრა, რომ ინსულინი სჭირდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოკვდებოდა. გამტაცებელი უხმოდ გატრიალდა და როგორც ჩანს, ამის მერე დარეკა განყოფილებაში. ყველაფერი იმდენად უცნაური იყო, რომ მრავლისმნახველი სამართალდამცავებიც გაოცდნენ. ვინ გაიტაცა პატარძალი, რა მიზანი ჰქონდა, რატომ გამოუშვეს, რატომ არ იცოდა გამტაცებელმა, რომ მას დიაბეტი ჰქონდა...

ყველასთვის მოულოდნელად, განყოფილებაში დაცვის თანამშრომელი ბიჭი მივიდა და გამომძიებელს უთხრა, სამსახურიდან გამომაგდეს და თუ ჩემს თავს აღადგენინებ, ისეთი დეტალი გამახსენდა, გოგონას აუცილებლად იპოვითო. რა თქმა უნდა, მას პირობა მისცეს, რომ სამსახურში დააბრუნებდნენ და ბიჭმაც თქვა – როცა გოგოს ვკოცნიდი და კისერზე ხელი მომხვია, რაღაც ცუდად შემერჭო და ხელზე რომ დავხედე, ნეკა თითის ფრჩხილი დეფორმირებული ჰქონდა, ალბათ, ოდესმე დაიზიანა და ფრჩხილი ნახევრად იზრდებოდა, როგორც ნემსი, ისე იყო წაწვეტებულიო. ეს დეტალი კი არა, პრაქტიკულად, სავარაუდო ეჭვმიტანილის ფოტოსურათი იყო და რადგან გოგონები, ძირითადად, პატარძლის მხრიდან იყვნენ, სწორედ მას ჰკითხეს. პატარძალმა მხრები აიჩეჩა, ჩემს მეჯვარეს აქვს ნეკზე ფრჩხილი დაზიანებული, ბავშვობაში მანქანის კარში მოიყოლაო. მეჯვარის ფოტო დაცვის თანამშრომელს ანახეს, თუმცა მან ისევ დაიმორცხვა, სახე არ მახსოვს კარგად, მაგრამ ძალიან ჰგავს და ხმას თუ გამაგონებთ, ხმაზე ვიცნობო. ხმაც მოასმენინეს და მთავარმა მოწმემ დაბეჯითებით თქვა, რომ ის იყო! პატარძლის მეჯვარე დააკავეს.

„მთელი ცხოვრება მის ჩრდილში ვიყავი და ეს იმის მიუხედავად, რომ მასზე ჭკვიანიც ვარ და ნიჭიერიც. პროექტი, რომელიც მან წარადგინა, ჩემი იყო, ჩემგან გადაიწერა, მერე თქვა, შენ ახალსაც მარტივად გააკეთებო და სანამ გავაპროტესტე, კომისიას ჩააბარა. მერე, ჟიურის ყველა წევრთან ლოგინში იკოტრიალა და ეს ბოთე ბიჭი მხოლოდ იმიტომ სჭირდებოდა, რომ ქმარი ჰყოლოდა. ჩემს საქმროს გავატაცებინე პატარძალი, წარმოდგენა არ ჰქონდა, მე რა ჩანაფიქრი მქონდა, მხოლოდ ის მინდოდა, პრეზენტაციაზე არ მისულიყო, მაგრამ როგორც კი იმ შტერმა გაიგო, რომ ინსულინის გარეშე, შესაძლოა, პატარძალი მომკვდარიყო, შეეშინდა და განყოფილებაში დარეკა. ჩადენილს არ ვნანობ“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლოს გადაწყვეტილება, ცოტა არ იყოს, უცნაური იყო. მათ არავინ დატოვეს პატიმრობაში, მეჯვარესა და მის საქმროს პირობითი სასჯელები ჩამოურიგეს, ჟიური კი შეიცვალა და... ორივე გოგონას კონკურსში მონაწილეობა აეკრძალა.

ბათო ჯაფარიძე

ეპილეფსია ცენტრალური ნერვული სისტემის ისეთი დაავადებაა, როდესაც თავის ტვინში დარღვეულია ნერვული უჯრედების აქტივობა, რაც გულყრას იწვევს. გულყრის დროს ადამიანს შეცვლილი აქვს ქცევა, განიცდის უჩვეულო სიმპტომებს და შეგრძნებებს გონების დაკარგვის ჩათვლით. შესაძლოა, ეს ეპიზოდური შეტევა იყოს ხანმოკლე (რამდენიმე წამი ან წუთი), ან ხანგრძლივი (ძირითადად, კრუნჩხვითი გულყრა). ცნობისთვის, მსოფლიოში მოსახლეობის 1%-ს (დაახლოებით, 75 მილიონი ადამიანი) აქვს ეპილეფსია. ასაკის მატებასთან ერთად, გამოვლინების სიხშირეც მატულობს. ახალი შემთხვევები განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებით ხშირია ჩვილებსა და ასაკოვნებში, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – გვიან ბავშვობასა და ადრეულ მოზარდობაში, რაც სავარაუდოდ, განპირობებულია ჩვილობისა და ბავშვობის ეპილეფსიების გაქრონიკულებულობით (ძირითადად, არასწორი მართვის გამო).

მკვლელობა სახურავზე

ტრაგედიით დასრულებული სასიყვარულო სამკუთხედი

ყველაფერი ეს იმის გამო მოგიყევით, რომ იცოდეთ – ეპილეფსიის მქონე ადამიანი, შესაძლოა, უცაბედად გაითიშოს, კრუნჩხვებში ჩავარდეს და არაადეკვატური ქცევა ჰქონდეს. სწორედ ასეთი, ეპილეფსიით დაავადებული ბიჭი გადმოვარდა თბილისის ერთ-ერთი კორპუსის სახურავიდან და გარდაიცვალა. არც მშობლებსა და არც სამართალდამცავებს ეჭვი არ გასჩენიათ იმასთან დაკავშირებით, რომ ის შემთხვევით გადმოვარდა, რომ სახურავზე სწორედ ეპილეფსიური შეტევა დაემართა და თავი ვერ გააკონტროლა. ერთადერთი, ვინც ამას უარყოფდა, მისი ჯარის მეგობარი იყო, ისინი ერთად მსახურობდნენ.

„ჯერ ის მაინტერესებს, როგორ მსახურობდა ეპილეფსიანი ადამიანი ჯარში და მერე კიდევ ის, რატომ გგონიათ, რომ ის გადმოაგდეს?“ – გამომძიებელმა ჯარის მეგობრის დაკითხვა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ის განყოფილებაში მეათედ მივიდა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მკვლელობის მუხლით ითხოვდა.

„ის ჯარში არ მიჰყავდათ, მაგრამ ყველაფერი გააკეთა, რომ წასულიყო, სამშობლოს სადარაჯოზე მინდა ყოფნა, კაცი რომ ჯარში არ არის ნამყოფი, ის რა კაციაო და შეძლო, ყველა დაერწმუნებინა, რომ გაეშვათ. ორი წელი ერთად ვიმსახურეთ და ამ ორი წლის განმავლობაში, მისი პატრონი მე ვიყავი. ალბათ, ასჯერ მაინც ჰქონდა შეტევა, ყველა შეტევის დროს მის გვერდით გახლდით და მინდა გითხრათ, რომ არცერთხელ, ამ ასი შემთხვევიდან არცერთხელ, კრუნჩხვებში არ ჩავარდნილა. უბრალოდ, გრძნობას კარგავდა, ადგილზე იკეცებოდა და დაახლოებით, 2-3 წუთში აზრზე მოდიოდა. არანაირი გულყრა, კოტრიალი, ან ხელებისა და ფეხების ქნევა – მოცელილი ხესავით ეცემოდა და გაუნძრევლად იწვა. ახლა, იმაზე საუბარი, რომ სახურავზე, სადაც ყოფნა ძალიან უყვარდა, გაითიშა და მერე კოტრიალი დაიწყო, სისულელეა. ის მოკლეს, გაითიშა და გადმოაგდეს. მეტიც, მგონია, რომ ყველაფერი ეს მისი შეყვარებულის მამამ გააკეთა“, – განაცხადა მეგობარმა.

სხვათა შორის, მშობლებმაც თქვეს, რომ თუ მათ შვილს ეპილეფსიური შეტევა ჰქონდა, ის კრუნჩხვებში არ ჩავარდებოდა, რადგან არც გულყრა ემართებოდა და შეტევის დროს მხოლოდ გონებას კარგავდა. გამოდიოდა, რომ ის სახურავზე, გადასავარდნ ზოლთან ძალიან ახლოს უნდა მდგარიყო, რაც ასევე გამორიცხული ჩანდა – გარდაცვლილს სიმაღლის ეშინოდა და სახურავზე რომ ადიოდა, მხოლოდ შუაგულში ჩერდებოდა, წვებოდა და ცას შეჰყურებდა. ამბობდა, ასე ცასთან უფრო ახლოს ვარო. ყველაფრის გაანალიზების შემდეგ, მშობლებმა განაცხადეს, მათი შვილის სუიციდი იმიტომ დაიჯერეს, რომ შეყვარებულმა მიატოვა, გოგონამ, რომელზეც მას მზე და მთვარე ამოსდიოდა, მაგრამ როგორც კი ბიჭს მისი თანდასწრებით ეპილეფსიის შეტევა დაემართა, გოგონამ გადაწყვიტა, საქმროდ უკეთესი ვინმე შეერჩია. გამომძიებლებმა გოგონას მონახულება გადაწყვიტეს და მას მარტივად მიაგნეს.

„მას შემდეგ, რაც ეპილეფსიური შეტევა დაემართა, უფრო მეტად მომინდა მის გვერდით ყოფნა, მაგრამ უკვე თავად იყო უარზე. ყველაფერს აკეთებდა, რომ მე სხვას გავყოლოდი ცოლად, მეუბნებოდა, ასაკის მატებასთან ერთად, ეს დაავადება უფრო გააქტიურდება და განკურნების შანსი არ მაქვსო. ბოლოს ძალიან მეჩხუბა, სახლში მივაკითხე და გამომაგდო. მოიკლავდა თუ არა თავს? არ ვიცი, ამაზე არასდროს უსაუბრია, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ იმ დონეზე ვუყვარდი, შესაძლოა, მისგან რომ წავსულიყავი, ეს მოიფიქრა“, – განაცხადა გოგონამ და ისიც დაადასტურა, რომ მამამისი აძალებდა სხვას გაჰყოლოდა ცოლად.

ის სხვა, რომელსაც გოგოს მამა ურიგებდა, ახალგაზრდა და პერსპექტიული ბიჭი იყო. უფრო სწორად, პერსპექტიული იმიტომ იყო, რომ გოგონას მამას, საკმაოდ გავლენიან და მდიდარ კაცს მოსწონდა სიძედ და საუცხოო მომავალსაც ჰპირდებოდა, ოღონდ საამისოდ ბიჭს მისი ქალიშვილი უნდა მოეყვანა ცოლად. ისიც ყველაფერს აკეთებდა და როგორც ჩანს, არცთუ ურიგოდ გამოსდიოდა, რადგან გამომძიებლებმა გაარკვიეს, რომ ბიჭის გარდაცვალების შემდეგ, პრაქტიკულად, ყოველდღე სტუმრობდა გოგონას, მასთან ერთად სასეირნოდაც მიდიოდა და ავტომობილს სასიმამროსგან თხოულობდა. სავარაუდოდ, ახალგაზრდები ურთიერთობას მალე დააკანონებდნენ. ყოველი შემთხვევისთვის, ძალოვნებმა ის ბიჭიც დაკითხეს, მან მხრები აიჩეჩა, გარდაცვლილი მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი და ბევრს ვერაფერს გეტყვით, ჩვეულებრივი ბიჭი იყო, ჩემს მიმართ არც აგრესია გამოუხატავს, არც – პატივისცემა, უბრალოდ, ამხედ-დამხედა და გამეცალაო. სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს, სახურავი კიდევ ერთხელ დაეთვალიერებინათ, ეგებ, წინა დათვალიერების დროს, რაღაც გამორჩათ და ამჯერად, სახურავზე სამის ნაცვლად, ერთბაშად ექვსი მაძებარი ავიდა. სამ წყვილ თვალს ექვსი აშკარად სჯობდა და აკი იპოვეს კიდეც – პიჯაკის ღილი, რომელიც მანამდე ვერავინ შენიშნა. დიდი იყო იმის ალბათობა, რომ ღილი მკვლელს აწყვეტოდა, მაგრამ ასევე არ იყო მცირე იმის შესაძლებლობა, რომ ღილი ბავშვებს აეტანათ და დავარდნოდათ, ან სხვა ვინმე ყოფილიყო სახურავზე და მას ასწყვეტოდა. ყოველი შემთხვევისთვის, ღილი განყოფილებაში წაიღეს და თან ექსპერტს ანახეს.

„პიჯაკი არ ვიცი, მაგრამ ღილი ძვირფასია და სავარაუდოდ, ის ძვირფას ქსოვილზე იყო დამაგრებული, რადგან მასზე შერჩენილი ძაფის ნაწილაკები მიუთითებს, რომ ქსოვილი აშკარად კარგი და ხარისხიანი უნდა ყოფილიყო. ღილზე ნახევარი თითის ანაბეჭდია, სავარაუდოდ, როცა იკრავდა, ან იხსნიდა მეპატრონე, ანაბეჭდს მაშინ ტოვებდა. ხარისხი ცუდია, მაგრამ თუ ანაბეჭდის პატრონს მომიყვანთ, მე დავამტკიცებ, რომ ღილი მისია“, – განაცხადა ექსპერტმა.

აბა, ღილის პატრონი სად უნდა ეპოვათ, ყოველი შემთხვევისთვის, იმავე კორპუსში მოიკითხეს, ძვირფას პიჯაკს ვინმე ხომ არ ატარებსო და ასეთი ვერავინ გაიხსენეს. ძიება გრძელდებოდა, მაგრამ ისე, რომ დიდი შანსი იყო, საქმე თაროზე შემოედოთ და ისევ თვითმკვლელობის ვერსიას გაჰყოლოდნენ, მაგრამ თავადაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბიჭი თავისით არ გადმოვარდა, ის გადმოაგდეს და ამიტომ, არ სურდათ, მკვლელს დაუსჯელს ევლო. მომდევნო კვირა ისე გავიდა, ახალი ვერაფერი გაიგეს, ძიებამ წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწია, მაგრამ გამომძიებლები საქმის დახურვას არ ჩქარობდნენ. კიდევ ორი დღე გავიდა და ერთ-ერთი ოპერმუშაკი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ძიებაში, გამომძიებლის კაბინეტში კი არ შევიდა, შევარდა.

„დღეს მეუღლესთან ერთად კინოთეატრში ვიყავი, დღის სეანსზე, საღამოს ცვლაში ვარ და მაგიტომ. იმ გარდაცვლილი ბიჭის აწ უკვე ყოფილი საცოლე და მისი საქმრო შეგვეჩეხნენ, მოვიკითხეთ ერთმანეთი და ბიჭს პიჯაკის ღილებზე დავაკვირდი, რადგან აშკარად ძვირფას პიჯაკს სხვადასხვა ღილი ჰქონდა, ორი ერთნაირი, მესამე კი თითქმის ისეთი, მაგრამ თითქმის ფერი იყო უფრო ღია. რაც მთავარია, დანარჩენი ორი ღილი ზუსტად ისეთია, როგორიც ჩვენ სახურავზე ვიპოვეთ“, – ერთ ამოსუნთქვაში თქვა ოპერმა.

გამომძიებელი ჩაფიქრდა და საკუთარ თავზე გაბრაზდა. მან ხომ ყველას ალიბი გადაამოწმა, გარდა იმ ბიჭისა და როგორც ჩანდა, სულ ტყუილად. ის განყოფილებაში დაიბარეს და როცა დაინახეს, რომ სხვა პიჯაკით მივიდა, მის სახლში ჩხრეკა ჩაატარეს. რა თქმა უნდა, ნივთი ამოიღეს და ექსპერტიზამაც დასკვნა მალე დადო – ღილი აღნიშნულ პიჯაკს ეკუთვნოდა და ეს არა მარტო ღილებით დამტკიცდა, არამედ, ნაპოვნ ღილზე შერჩენილი ქსოვილის ნაწილაკებითაც. დაკავებული თავიდან ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ როცა უტყუარი მტკიცებულებები დაუდეს, იძულებული იყო, აეხსნა, რას აკეთებდა სახურავზე.

„მე თავად მან დამიბარა იქ სასაუბროდ. მივედი და მითხრა, იმ გოგოზე ვგიჟდები, ცოლად არ მოვიყვან, არ დავტანჯავ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ვერც შენ მოიყვანო, რადგან არ იმსახურებო. მე გავბრაზდი, ვიკამათეთ და ამ დროს გონება დაკარგა, გაითიშა. დაახლოებით, 2 წუთი ვცდილობდი, აზრზე მომეყვანა, მერე კი... მერე... ახლაც არ ვიცი, როგორ დამემართა, რა ეშმაკი შემიჩნდა, მაგრამ კიდისკენ გადავაგორე, ავწიე და გადმოვაგდე. იქაურობა მალე დავტოვე, შინ რომ მივედი, მაშინ აღმოვაჩინე ღილი რომ მაკლდა, მაგრამ უკან დაბრუნების შანსიც არ იყო. ჯერ ერთი, იქ უკვე სამართალდამცავები მუშაობდნენ და მეორეც – შემეშინდა. თუ ღილი საპოვნელი იყო, უკვე იპოვიდნენ, თუ არადა, გადავრჩებოდი“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, გოგო კი, რომელიც მას უნდა შეერთო, მამამისმა მომხდარიდან სამ თვეში გაათხოვა.

პოლიციამ კახეთში მომხდარი მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტები გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.ხ. დააკავეს.

დანაშაულები 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოში, ყოფილ მეუღლეს – 1988 წელს დაბადებულ ნ.დ.-სა და 1987 წელს დაბადებულ ი.ჯ.-ს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული დაზიანებების შედეგად, ი.ჯ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ნ.დ. საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდება.

ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ი.ხ. ბრალდებულის სახით დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობას და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

პოლიციამ ბათუმში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.მ. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 26 ნოემბერს, ბათუმში, ნაცნობი მამაკაცი – 1983 წელს დაბადებული გ.მ., ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილ მამაკაცს შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა.

სამართალდამცველებმა ა.მ. ბრალდებულის სახით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე საერთაშორისო კონფერენციაში „გლობალური ალიანსი მიგრანტთა უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლა“ მონაწილეობდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე მონაწილეობდა ბრიუსელში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში „გლობალური ალიანსი მიგრანტთა უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლა“. საერთაშორისო კონფერენცია ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა გახსნა, რომელმაც მთავრობებს მიგრანტთა უკანონო გადაყვანის პრევენციისკენ მიმართული ძალისხმევისა და აღნიშნული გამოწვევის საპასუხო ზომების გაძლიერებისკენ მოუწოდა.

ალექსანდრე დარახველიძემ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა ევროატლანტიკური ინტეგრაციის, როგორც საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტის მნიშვნელობას. მინისტრის მოადგილემ მადლობა გადაუხადა ევროკომისიას საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციისთვის და კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მთავრობისა და კომპეტენციის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მზაობა შეასრულოს ევროკავშირის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

მინისტრის მოადგილემ გამოსვლის ფარგლებში აღნიშნა, რომ უკანონო მიგრაცია მსოფლიოსთვის ერთ-ერთ სწრაფად მზარდ გამოწვევას წარმოადგენს. მინისტრის მოადგილემ მიმოიხილა საქართველოს მიერ უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ გატარებული ისეთი საპასუხო ქმედებები, როგორებიცაა განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, პოლიციის ატაშეების ქსელის ეფექტიანი საქმიანობა, Frontex-თან და Europol-თან არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა და ევროკავშირთან რეადმისიის შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება.

ალექსანდრე დარახველიძემ ხაზი გაუსვა სამინისტროს მზაობას, კიდევ უფრო გააძლიეროს პარტნიორებთან სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობა უკანონო მიგრაციისა და მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომელიც სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებით აღჭურვის ვალდებულებას ითვალისწინებს პარლამენტმა მეორე მოსმენით მხარი დაუჭირა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომლითაც ცვლილება შედის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში, საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით, 81 ხმით, მხარი დაუჭირა.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიზანს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ცვლილებების თანახმად, პირველი დეკემბრიდან პირველ მარტამდე პერიოდში, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ზონებში/გზის მონაკვეთებზე გადაადგილებისას სავალდებულო იქნება სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებით აღჭურვა.

ამასთან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით, შესაძლოა, დადგინდეს ზემოაღნიშნული პერიოდისგან განსხვავებული დროის მონაკვეთი ან დაწესდეს დამატებითი მოთხოვნა, სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებთან ერთად მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით აღჭურვის შესახებ.

ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

სანქციად წესდება ჯარიმა 100 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულების 5 ქულით შემცირება.

ზამთრის საბურავების ტექნიკური მახასიათებლები საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს აშშ-ის ელჩი ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, რობინ დანიგანი ეწვია. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა თემურ მღებრიშვილმა უმასპინძლა.

რობინ დანიგანმა ადგილზე დაათვალიერა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ევროპული სარდლობის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის (ODC) მხარდაჭერით, ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ფარგლებში გადმოცემული სხვადასხვა სახის სახანძრო და სამაშველო სპეციალური აღჭურვილობა და ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით აღჭურვილი ოპერატიული მართვის ცენტრი.

მხარეებმა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებულ მჭიდრო და ნაყოფიერ ურთიერთობებზე ისაუბრეს და საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების საკითხი განიხილეს. თემურ მღებრიშვილმა აშშ-ის ელჩსა და აშშ-ის საელჩოს ევროპული სარდლობის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის (ODC) წარმომადგენლობას გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მოწოდებული სპეციალური ტექნიკა და აღჭურვილობა მეხანძრე-მაშველებს ქვეყნის მასშტაბით სამაშველო ოპერაციების ჩატარებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, მრავალი წელია, წარმატებით თანამშრომლობს აშშ-ის ევროპული სარდლობის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურთან (ODC). არსებული თანამშრომლობის მიზანია სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება, როგორც ტექნიკური, ისე ექსპერტული მხარდაჭერის გზით.

წილი ნაყარია – საქართველო F ჯგუფში უნდა მოხვდეს

მომავალი წლის 14 ივნისიდან 14 ივლისამდე, გერმანიის სხვადასხვა ქალაქში, ევროპის რიგით მე-17 საფეხბურთო ჩემპიონატი გაიმართება. ჯგუფების წილისყრა გასულ კვირას ჩატარდა და გაირკვა ის ჯგუფი, რომელშიც საქართველოს ნაკრები ევროპირველობაზე გასვლის შემთხვევაში მოხვდება. ამისათვის, ჩვენმა ნაკრებმა 21 მარტს, თბილისში ლუქსემბურგი უნდა დაამარცხოს, ხოლო 26 მარტს, ისევ თბილისში – საბერძნეთსა და ყაზახეთს შორის უძლიერესი. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შანსი გვაქვს და გვაქვს ძალიან დიდი, უბრალოდ მას გამოყენება უნდა და დამოუკიდბელი საქართველოს ისტორიაში პირველად, ჩვენს ნაკრებს დიდ საფხბურთო ფორუმზე თამაშის შესაძლებლობა ექნება.

წილისყრის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს ნაკრები, ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შემთხვევაში, F ჯგუფში, თურქეთთან, პორტუგალიასთან და ჩეხეთთან ერთად იასპარეზებს. 24 ნაკრები 6 ჯგუფში გადანაწილდა, საიდანაც შემდეგ ეტაპზე 2-2 საუკეთესო და 4 საუკეთესო მესამეადგილოსანი გავა, 16 ნაკრები კი, პლეი-ოფის სისტემით, ასპარეზობას 1/8-ფინალიდან გააგრძელებს. სანამ წილისყრის მთლიან შედეგებს შემოგთავაზებთ, გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა ჩვენი ნაკრებისთვის ფინანსურადაც ძალიან მომგებიანი იქნება. საქმე ის გახლავთ, რომ მხოლოდ გერმანიის საგზურის მოპოვებისთვის, თითოეული ნაკრები უეფასგან 9.25 მილიონ ევროს მიიღებს, ჯგუფში ყველა მოგებული თამაში მილიონი ევროთი ფასდება, ფრე – 500 ათასით, მერვედფინალში გასვლისთვის ნაკრები 1.5 მილიონს მიიღებს, მეოთხედფინალის ფასი – 2.5 მილიონი, ნახევარფინალის – 4 მილიონია, ფინალში დამარცხებული 5 მილიონს მიიღებს, გამარჯვებული – 8 მილიონ ევროს. ჯგუფური ეტაპის წილისყრის შედეგები კი ასეთია:

A ჯგუფი:
გერმანია;
შოტლანდია;
უნგრეთი;
შვეიცარია.

B ჯგუფი:
ესპანეთი;
ხორვატია;
იტალია;
ალბანეთი.

C ჯგუფი:
ინგლისი;
დანია;
სლოვენია;
სერბეთი.

D ჯგუფი:
საფრანგეთი;
ავსტრია;
ნიდერლანდები;
A ლიგის პლეი-ოფის გამარჯვებული.

E ჯგუფი:
ბელგია;
რუმინეთი;
სლოვაკეთი;
B ლიგის პლეი-ოფის გამარჯვებული.

F ჯგუფი:
პორტუგალია;
თურქეთი;
ჩეხეთი;
C ლიგის პლეი-ოფის გამარჯვებული.

პირველი მოგება ორ სტადიონზე

საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრებმა, ერთა ლიგის გათამაშებაში პირველი გამარჯვება იზეიმა. ჩვენმა გოგონებმა ეს მხოლოდ მეხუთე ტურში მოახერხეს და ლუქსემბურგს დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს. პირველი ტაიმი სტუმართა გამარჯვებით, 2:0 დასრულდა, თუმცა მეორე ნახევარში, ქართველებმა ლამის შეუძლებელი შეძლეს და მეტოქეს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს. შეხვედრაც საბოლოოდ ჩვენს სასარგებლოდ, 4:2 დასრულდა, თუმცა...

მატჩი ვაკეში მდებარე „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონზე მიმდინარეობდა და პირველი ტაიმის მიწურულს, კონკრეტულად, 43-ე წუთზე, შუქი გამოირთო. შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი გადასცემდა ეთერში, მაგრამ მეორე ტაიმის რეპორტაჟი ვეღარ შედგა. რატომ? – მიზეზი ცოტა არ იყოს, სასაცილოა – დაზიანების გამოსწორება ვერ მოხერხდა და ნაკრებებმა შეხვედრა სათადარიგო სტადიონზე გააგრძელეს, რომლის განათებაც, საბედნიეროდ, მწყობრში იყო. ჰოდა, სათადარიგო სტადიონზე ტელევიზიის აპარატურის გადატანა ვერ მოხერხდა და რეპორტაჟი ამიტომ არ შედგა. ისე, სტუმრებს შეეძლოთ უარი ეთქვათ სათადარიგო სტადიონზე ასპარეზობაზე, მაგრამ იმ მომენტისთვის ისინი ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ და გამარჯვებაში დარწმუნებულები იყვნენ. შეხვედრის გადადების შემთხვევაში, მეორე ტაიმის ჩათამაშება მოუწევდათ და ამიტომ დათანხმდნეენ. ისე, ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა „მიხეილ მესხზე“ შუქი ითიშება და თუ გახსოვთ, ამ მიზეზით, წლების წინ, საქართველო-რუსეთის უპრინციპულესი დაპირისპირება ჩაიშალა.

„17 თებერვალს, მსოფლიოს ჩემპიონი გავხდები!“

მომავალი წლის 17 თებერვალს, დიდი დღეა... ქართული სპორტისთვის ძალიან დიდი. UFC-ში პირველად მოხდება, რომ ქამრისთვის ქართველი იჩხუბებს. 26 წლის ილია თოფურია, ქვემსუბუქი წონის ჩემპიონის ქამარს, მოქმედ გამარჯვებულს ავსტრალიელ ალექსანდ ვოლკანოვსკის შეეცილება. ვოლკანოვსკი 35 წლის კი გახლავთ, მაგრამ ქამარს 2019 წლიდან ფლობს და მისი დაცვა ხუთჯერ მოახერხა. ახლაც, ქართველ პრეტენდენტს ემუქრება და ამბობს, რომ ქამარს არც მას დაუთმობს. ცნობისათვის, ილიას UFC-ში 6 ბრძოლა აქვს გამართული და ექვსივეში იმარჯვა, ვოლკანოვსკის კი 13 შეხვედრის წილ, ამდენივე გამარჯვება აქვს.

„დღეს, 1 დეკემბერს, ოფიციალურად იწყება მოსამზადებელი პერიოდი, რომელზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი. სულ მალე ეს ოცნება ახდება. უკან რომ ვიხედები და ვიხსენებ, რაც გამოვიარე აქამდე მოსასვლელად, მადლიერებით ვივსები. მადლობა უფალს იმ ძალისთვის, რომელიც არასოდეს მტოვებდა და მუდამ მეხმარებოდა წინააღმდეგობების დაძლევაში! ახლა იწყება მაქსიმალური კონცენტრაციის პერიოდი. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს უპირობო მხარდაჭერისთვის“, ყველანი მიყვარხართ! 17 თებერვალს, მსოფლიოს ჩემპიონი გავხდები!“ – ეს წერილი ილია თოფურიამ ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა და დიდი იმედი გვაქვს, რომ 17 თებერვალს, თოფურიას სახით, UFC-ში პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი გვეყოლება.

კალათბურთელები ოლიმპიადის საგზურისთვის ივლისში იბრძოლებენ

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ოლიმპიადაზე მონაწილეობისთვის ბრძოლას 2 ივლისს დაიწყებს. მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდი საგზურისთვის ბრძოლაში ჯგუფში ლატვიასა და ფილიპინებს შეხვდება. ჯგუფიდან ორი საუკეთესო გადის ანუ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად, ერთი შეხვედრის მოგებაც გვეყოფა. მეორე ჯგუფში ურთიერთობას კამერუნი, ბრაზილია და მონტენეგრო არკვევენ, იქიდან საუკეთესო ორი ნაკრები ჩვენი ჯგუფის ორ ნაკრებს შეხვდება და საბოლოოდ, გამარჯვებული პარიზის 2024 წლის ოლიმპიადის საგზურს მიიღებს. მატჩების განრიგი კი შემდეგნაირია:

2 ივლისი – ლატვია-საქართველო, ბრაზილია-მონტენეგრო; 3 ივლისი – ლატვია-ფილიპინები, მონტენეგრო-კამერუნი; 4 ივლისი – ფილიპინები-საქართველო, კამერუნი-ბრაზილია; 6 ივლისი – A ჯგუფის გამარჯვებული-B ჯგუფის მეორეადგილოსანი; 6 ივლისი – B ჯგუფის გამარჯვებული-A ჯგუფის მეორეადგილოსანი; 7 ივლისი – ფინალი.

ტოკიოს გრანდ სლემი ორი მედლით დავასრულეთ

ძიუდოისტებისთვის მიმდინარე სეზონი დასრულდა. ბოლო გრანდ სლემი ტოკიოში გაიმართა, ტურნირი, რომელიც რანგით, პრაქტიულად, მსოფლიოს ჩემპიონატს არ ჩამოუვარდება. რაც მთავარია, მასპინძელ იაპონელებს თითო წონაში ოთხი ძიუდოისტის დაყენების უფლება აქვთ და ისინი მუდმივად ცდილობენ, რომ იაპონიიდან ოქროს მედალი არავის გაატანონ. ქართველთაგან ეს ტურნირი მხოლოდ სამ ძიუდოისტს აქვს მოგებული: 1982 წელს – დავით ბოდაველს, 2015 წელს – ავთანდილ ჭრიკიშვილს, 2019 წელს – ბექა ღვინიაშვილს.

ოქროს მედალთან ახლოს ამჯერადაც ვიყავით, ლუკა მაისურაძე ფინალში გავიდა, მაგრამ იქ მასპინძელთა ჯილასთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ლუკამდე, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გიორგი ტერაშვილმა და სულ ეს იყო ქართული დელეგაციის მონაგარი. გეთანხმებით, ძნელია ტოკიოს გრანდ სლემზე ოქროსთვის ჭიდაობა, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ნაკრებს გურამ თუშიშვილი, ლაშა ბექაური და ტატო გრიგალაშვილი აკლდნენ, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს – მეტს ველოდით.

საქართველოს ჩემპიონატი 46-ე ადგილზეა

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი დასრულდა და ისტორიაში მეორედ, ოქროს მედლები ბათუმის „დინამომ“ მოიპოვა. მომავალ წელს, სწორედ აჭარული კლუბი დაიცავს საქართველოს ღირსებას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე და იმედია, ამჯერად მაინც მოვახერხებთ 2-3 ეტაპის დაძლევას, რათა ზაფხულში დაწყებული ევროთასები ჩვენთვის ზაფხულშივე არ დასრულდეს.

ჰოდა, ჩვენი პირველობის დასრულების პარალელურად, უეფა-მ ეროვნული ჩემპიონატების ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. საქართველო რეიტინგში 46-ე ადგილზეა (უეფაში სულ 55 ქვეყანაა გაწევრიანებული). ჩვენზე უკან ალბანეთი, ესტონეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, ანდორა, უელსი, მონტენეგრო, გიბრალტარი და სან მარინო არიან, მაგრამ გვერწმუნეთ, სან მარინოს, ანდორასა და გიბრალტარის გარდა, ჩვენს უკან მყოფ ვერცერთი ქვეყნის კლუბზე ვერ იტყვის ვერც საქართველოს ჩემპიონი და ვერც მეორე თუ მესამე ადგილოსანი, აუცილებლად დავამარცხებო. სამწუხაროდ, ჩვენი პირველობა ერთ-ერთი უსუსტესია და ეს მწარე რეალობაა.

რაც შეეხებათ ძლიერებს ამა ქვეყნისა. უძლიერესი ჩემპიონატების პირველი ათეული ასე გამოიყურება – ინგლისი, ესპანეთი, იტალია, გერმანია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ბელგია, თურქეთი, შოტლანდია.

სერხიო რამოსმა ახალი რეკორდი დაამყარა

ლეგენდარული ესპანელი მცველი, 37 წლის სერხიო რამოსი გასულ ზაფხულს, ფრანგული „პარი სენ ჟერმენიდან“ „სევილიაში“ დაბრუნდა, კლუბში, სადაც კარიერა დაიწყო და ბურთს სულ რაღაც მილიონ ევროდ აგორებს. ეს მაშინ, როცა რამოსს არაბული კლუბები წლიურად 20 მილიონს სთავაზობდნენ.

ჰოდა, პრიმერადივიზიონის გასული ტურის შეხვედრაში, სერხიომ წითელი ბარათი მიიღო და საკუთარივე რეკორდი გააუმჯობესა. ეს მისთვის კარიერაში 29-ე წითელი ბარათია და აქედან პრიმერაში 21-ედ გააწითლეს. თავად რამოსი თვლის, რომ უხეში ფეხბურთელი არ არის და მსაჯები ხშირად უსამართლოდ სჯიან, მაგრამ თუ მის მიერ მიღებული წითელი ბარათების სტატისტიკასა და მომენტებს გადახედავთ, ნახავთ, რომ მსაჯები, პრაქტიკულად, ყველა შემთხვევაში, სამართლიანად მოქმედებდნენ და იყო მომენტები, როცა სერხიო რამოსი არბიტრებმა უბრალოდ დაინდეს. ასეთი სტატისტიკის მიუხედავად, რამოსი მაინც რჩებს ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს და ყველა დროის ერთ-ერთ უტიტულეს ფეხბურთელად.

დიდი არეულობა ენმ-ში

მე-3 გვერდიდან

რომლებიც, თავის დროზე, გულანთებული პატრიოტები გვეგონნენ და ვთვლიდით, რომ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის უმწიკვლოდ იბრძოდნენ, ლამის, მონსტრებად იქცნენ.

ამ შეფასებამ ვინმეს, შესაძლოა, ნერვები მოუშალოს, მაგრამ ფაქტებს ვერსად გავექცევით! აი, ერთ-ერთი ფაქტიც:

ჰიტლერის ნაცისტურმა პარტიამ ჰოლოკოსტი შვა, სააკაშვილის ნაცმოძრაობამ კი პირდაპირ ეთერში, საფუძველი ჩაუყარა „ტრუსიკ-მაიკით დაჭერებსა“ და „ნულოვან ტოლერანტობას“.

საერთოდ, მიხეილ სააკაშვილს შეიძლება ბევრი რამ დავაბრალოთ. აკი, თვითონაც უთქვამს, ვიღაცები გიჟსაც მეძახიანო, მაგრამ რაც უნდა იყოს, ვერ ვიტყვით, რომ გაუნათლებელია. დიახ, პრეზიდენტყოფილი უდავოდ განათლებულია. ჰოდა, დაუჯერებელია, ვერ მიმხვდარიყო, იმის გამო, რომ საკუთარ პარტიას ნაციონალური მოძრაობა დაარქვა, ვიღაცები ჰიტლერს შეადარებდნენ, თუმცა თუკი ნლპ-ს (ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება – ფსიქოლოგიის ერთ-ერთი თანამედროვე მიმდინარეობა, რომელსაც, როგორც ამბობენ, მსოფლიოს ზესახელმწიფოების უშიშროების სამსახურები ხალხის სამართავად იყენებენ) ლოგიკას გავყვებით, შეიძლება, მივიდეთ დასკვნამდე, რომ მიხეილმა პარტიას ჰიტლერული სახელი მიზანმიმართულად დაარქვა.

ნლპ-ს ლოგიკითვე, შემთხვევითი არც „ზომიერად აგრესიული ახალგაზრდების“ ძებნა უნდა ყოფილიყო...

ერთ-ერთი პირველი, „ზომიერად აგრესიული“ ახალგაზრდა, ვინც სააკაშვილის გვერდით დადგა, ვანო მერაბიშვილი გახლდათ – 2001 წელს, „ვაშინგტონ პოსტმა“ იმ დროისთვის, პრაქტიკულად, უცნობ მოქკავშირელ დეპუტატთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელიც შევარდნაძის პარტიაში გამეფებულ მანკიერებებზე ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა. პოლიტმკვლევარების შეფასებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაფუძნებას საძირკველი, სწორედ მერაბიშვილის ამ განცხადებით ჩაეყარა.

სხვათა შორის, ძველ დოკუმენტებში მიხეილ სააკაშვილი, როგორც პარტიის ხელმძღვანელი არ ფიგურირებს. ყოველ შემთხვევაში, იმ მასალის თანახმად, რომელიც Google-ის საძიებო სისტემაში მოიპოვება, პოლიტიკურმა გაერთიანებამ რეგისტრაცია 2001 წლის 29 სექტემბერს გაიარა (რეგ. №138) და მისი ხელმძღვანელი ზურაბ მელიქიშვილი იყო. ეს ის ზურაბ მელიქიშვილია, რომელიც ნაცმოძრაობის ზეობისას, მუდმივად ქართული პოლიტიკის ავანგარდში ტრიალებდა – ხან გავლენიანი პარტიული თანმდებობა ეკავა, ხან კი აღმასრულებელ ხელისუფლებაში საქმიანობდა, ერთხანობას, ქვემო ქართლის გუბერნატორიც იყო, ამის შემდეგ კი პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. როგორც ჩანს, მიშა წარსულს უფასებდა...

ამავე დოკუმენტით ირკვევა, რომ თავდაპირველად, სააკაშვილის პარტიას ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კი არა, „ნაციონალური მოძრაობა – საქართველოს გადასარჩენად“ ერქვა.

რაც შეეხება ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ამ სახელწოდების პარტია საქართველოში, პირველად, 1999 წელს გამოჩნდა და მას უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი მირიან მირიანაშვილი ხელმძღვანელობდა. მას შემდეგ, რაც ნაცმოძრაობა ოპოზიციაში გადავიდა და საქართველოს მართვის სადავეები „ოცნებამ“ აიღო, ბატონმა მირიანაშვილმა პარტიის სახელის დასაბრუნებლად სამართლებრივი ბრძოლა დაიწყო.

პარტიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ისტორია სულ რამდენიმე აბზაციითა მოყოლილი:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მიხეილ სააკაშვილის ლიდერობითა და ინიციატივით, 2002 წელს დაფუძნდა და 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო.

2004-დან 2012 წლამდე, ჩვენმა პარტიამ, ქართველი ხალხის მხარდაჭერით, არშემდგარი სახელმწიფო

ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად ქვეყნად აქცია. საქართველო მსოფლიო ბანკმა ნომერ პირველ რეფორმატორ ქვეყნად აღიარა.

2012 წლიდან, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაშია.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დასავლური ტიპის, ღია პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც კოლექტიური მართვის ორგანოებისა და დემოკრატიული შიდა დისკუსიის საფუძველზე იმართება. შესაბამისად, მთელი ინფორმაცია ჩვენ შესახებ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია“.

ამ ოფიციალური ანოტაციით თუ ვიმსჯელებთ, ნაცბელადები პარტიის ისტორიას თუ არ აყალბებენ, მინიმუმ, დეტალების დამალვას ცდილობენ. თუ ასე არაა, მაშინ საინტერესოა, ენმ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე იმის შესახებ რატომ არაფერია ნათქვამი, რომ ნაცმოძრაობის ავანგარდში, თავის დროზე, ზვიად ძიძიგურის კონსერვატიული პარტიაც იდგა და რესპუბლიკური პარტიაც? ყოველ შემთხვევაში, 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ნაცმოძრაობამ ბლოკი სწორედ ამ ორ პოლიტიკურ სუბიექტთან შექმნა. მეტიც, თვითმხილველებს ისიც კარგად ახსოვთ, რომ ამ გაერთიანების თანათავმჯდომარის ფუნქციას ლევან ბერძენიშვილი ასრულებდა, თუმცა როგორც ჩანს, ისტორიის „გადაწერა“ პოლიტიკოსთა მავნე სტილია.

ვებ-გვერდზე განთავსებულ პარტიის ისტორიის ოფიციალურ ანოტაციაში, ცხადია, არც იმის შესახებაა ნათქვამი, რომ 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ნაციონალებმა წარმატებას, სწორედ ზემოხსენებული ბლოკის ფორმატში მიაღწიეს და თბილისის საკრებულოში გამარჯვება ლეიბორისტებთან ერთად გაიყვეს. არადა, ეს ნაცმოძრაობის დოსიეში, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეპიზოდია – ხალხური მითოსით, მიხეილ სააკაშვილის, როგორც პოლიტბელადის ჩამოყალიბებაში, გადამწყვეტი როლი, სწორედ შალვა ნათელაშილმა ითამაშა ანუ ქვეყნის მთავარ ლეიბორისტს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობა რომ არ დაეთმო, მიშა ვერც „ვარდების რევოლუციის“ ტრიუმვირატის სრულუფლებიანი წევრი გახდებოდა და, შესაბამისად, ვერც – პრეზიდენტი.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობამ პოპულარობის ევერესტის დაპყრობა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მერე დაიწყო. სხვათა შორის, ამ არჩევნებში ნაცები ისევ რესპუბსა და კონსერვატორებთან ერთად ანუ ბლოკის სახით მონაწილეობდნენ. შეაბამისად, რევოლუციების ღმერთებსა თუ დემონებს სამივე ძალამ სული, ალბათ, ერთად მიჰყიდა, თუმცა 2004 წელს, როცა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა და საკანონმდებლო ორგანოში შევიდნენ, რესპუბმა, ძიძიგურისა არ იყოს, ნაცებს ქოქოლის მიყრა დაუწყეს. ეს გაბლოკებაც, როგორც ჩანს, ზემოხსენებული პოლიტიკური ალგორითმის ნაწილი გახლდათ.

* * *

საერთოდ, ნაცმოძრაობიდან გაქცევა ერთგვარი ტრადიციაა და, როგორც წესი, პირწავარდნილი და მგზნებარე მიშისტები გარბიან ხოლმე. ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულ „გამქცევად“, შესაძლოა, ირაკლი ოქრუაშვილი ჩავთვალოთ – თავდაცვის ექსმინისტრმა მიშას პარტია 2007 წელს დატოვა. მაშინ ამბობდნენ, რომ ამით ენმ-ს სერიოზული ზიანი მიადგებოდა, თუმცა ასე არ მოხდა – მიუხედავად იმისა, რომ „ოქროს“ გაქცევა სისხლიან 7 ნოემბრად და ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებად დაუჯდა, ნაცმოძრაობამ ორივე არჩევნებში მაინც დამაჯერებელ წარმატებას მიაღწია, თუმცა „დამაჯერებლობა“, ალბათ, გადაჭარბებული ეპითეტია, რამეთუ, დღემდე არსებობს ვარაუდი, რომ 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო და მაისის საპარლამენტო არჩევნები ტოტალურად გაყალბდა.

ნაცმოძრაობიდან გაქცევამ მასშტაბური სახე 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მერე მიიღო, რაც ერთგვარ ტრადიციადაც იქცა: მას შემდეგ, რაც ცხრაწლიანი მმართველობა დაკარგა, ენმ ჯერ გოგა ხაჩიძემ, პავლე კუბლაშვილმა და კიდევ რამდენიმე ძირძველმა ნაცმა დატოვა, მალევე, მათ გზას გიორგი ვაშაძეც დაადგა.

ყოფილ მმართველ გუნდში დალხინებული ცხოვრება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც ახლაა. ყოველ შემთხვევაში, ნაცებს შორის დაწყებული დაპირისპირება კულუარებს კარგა ხანია გასცდა და ერთ დროს, „ერთ მუშტად“ შეკრული გუნდის წევრები ერთმანეთს „დინგი-დუნიის“ დასანახად ასამარებენ და ამიწებენ.

კბილის იმპლანტებად ძროხებს გამოიყენებენ

„მწვანე კონტინენტზე“, სპეციალურად გამოყვანილ ძროხებს, სადაც ძროხის ცოფი არ არსებობს, შეიძლება, ძვლისა და კბილის იმპლანტების დონორებად გამოიყენონ. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კბილის ძვლის ტრანსპლანტაციისთვის იმ ადამიანის ძვლებს იყენებდნენ, ვინც თანხმობა გასცა დონორობაზე. ახლა კი, მათ ნაცვლად, შესაძლოა, სინთეტიკური მასალა გამოიყენონ, ასევე, ქსენოტრანსპლანტები ანუ ცხოველთა ძვლები. ავსტრალიური მსხვილფეხა პირუტყვი კი საუკეთესოა ქსენოტრანსპლანტაციისთვის, რადგან მათ ანამნეზში არ არსებობს ენცეფალოპათია (იგივე, ძროხის ცოფი). აღნიშნავენ, რომ ცხოველები რეგულარულად გადიან სამედიცინო შემოწმებას, მერე კი მათ კლავენ. მიღებულ მასალას უცხოეთში გზავნიან დასამუშავებლად, გასაწმენდად და სტერილიზაციისთვის. უკან დაბრუნებული მასალა კი გამოიყენება ბიოშეთავსებადი იმპლანტის შესაქმნელად.

ტრამპზე ფილმს გადაიღებენ

აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტზე, დონალდ ტრამპზე ფილმს გადაიღებენ. The Appretice – ასე ერქმევა სურათს, რომელშიც ტრამპის როლს 41 წლის მსახიობი, სებასტიან სტენი შეასრულებს. ფილმში ის ახალგაზრდა დონალდის როლში იქნება. მასთან ერთად სურათში ჯერემი სტრონგი და მარია ბაკალოვა მონაწილეობენ. გადაღებები სულ მალე, რამდენიმე დღეში დაიწყება. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ფილმში ექს-პრეზიდენტზე ასახული იქნება ტრამპის საქმიანობა – როგორ იწყებდა ის გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, ნიუ-იორკში, საკუთარი ბიზნესის აწყობას და საბოლოოდ, მთელი იმპერია შექმნა. ასახული იქნება ტრამპის ურთიერთობა როი კონთან. ის მისი ადვოკატი და მენტორი იყო. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, მათ ურთიერთობაზე გამოვიდა დოკუმენტური ფილმი „სად არის ჩემი როი კონი?“ სწორედ მის როლს მოირგებს ახალ სურათში ჯერემი სტრონგი, მარია ბაკალოვა კი ექს-პრეზიდენტის პირველი ცოლის, ივანას როლს შეასრულებს.

კარაქში კიბოს „მკვლელები“ იპოვეს

ამერიკელმა სწავლულებმა ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან, მეტად ღრმა და დეტალური კვლევები ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ რძის ცხიმოვანი პროდუქტები, ასევე, ძროხისა და ცხვრის ხორცი შეიცავენ ნივთიერებებს, რომლებიც სიმსივნის მკურნალობას ეხმარებიან. რასაკვირველია, მხოლოდ პროდუქტებით, წამლებისა და სხვა მეთოდების გარეშე კიბოს მკურნალობა შეუძლებელია, მაგრამ მეორე მხრივ, სიმსივნით დაავადებულმა რომ უარი თქვას რძის პროდუქტებისა და საქონლის ხორცის მიღებაზე, ეს სიგიჟეა. ამ პროდუქტებში აქტიური ნივთიერება აღმოჩნდა ტრანსვაქცენური ცხიმოვანი მჟავა. ის ბევრია ნაღების კარაქში, რძის სხვა პროდუქტებში, ძროხისა და ცხვრის ხორცში, გარდა ამისა, ის დიდი რაოდენობითაა დედის რძეშიც. სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ ეს ტრანსვაქცენური მჟავა აუმჯობესებს იმუნური სისტემის განსაკუთრებული უჯრედების მუშაობას, რომლებიც უტევენ სიმსივნურ უჯრედებს და კლავენ მათ. კვლევა საკმაოდ რთული და მრავალეტაპიანი იყო, რომელიც ჩატარდა, როგორც ლაბორატორიულ თაგვებზე, ასევე, ონკოპაციენტებზეც. მკვლევარები გვთავაზობენ, დაავადებული ადამიანების მკურნალობაში ჩავრთოთ ტრანსვაქცენური ცხიმოვანი მჟავაც.

მოდის ბრენდმა ჭურჭელიც გამოუშვა

ცნობილმა ფრანგულმა ბრენდმა Louis Vuitton-მა ფაიფურისა და შუშის ჭურჭლის პირველი კოლექცია შექმნა. ელეგანტური ჭურჭელი – Monogram Flower Tile კლასიკურ თეთრ-ცისფერ ფერებშია წარმოდგენილი, აკვარელის ეფექტებით და ლიმოჟის ფაიფურისგან არის დამზადებული. კოლექციის ყველა ნივთი ფუნქციონალური და კრეატიულია, რომლებიც შესანიშნავად ავსებენ ერთმანეთს. ორიგინალური კაშკაშა ჭიქებისა და გრაფინების სერია კი, რომელსაც სპირალის ფორმა აქვს, მურანოს შუშისგანაა დამზადებული. შუშის ჭურჭელი – Twist Glass, რამდენიმე ფერის გამოყენებით შეიქმნა: კრისტალურად გამჭვირვალე ცისფერი საფირონი, ქარვისფერი, ზურმუხტისფერი და ვენეციური ლალისფერი. ბრენდის ჭურჭლის კოლექცია უკვე ხელმისაწვდომია საფრანგეთის რადენიმე მაღაზიაში.

პროფესია – სიკვდილის კონსულტანტი

ნიდერლანდების 75 წელს გადაცილებულ მოსახლეობას, სულ ცოტა ხანში, შესაძლოა, საკუთარი სურვილით სიცოცხლის დათმობაში ახალი პროფესიის მქონე ადამიანის დახმარების იმედი ჰქონდეს. შესაბამისი კანონპროექტი ჰოლანდიელ კანონმდებლებს პარტია „დემოკრატები 66“-მა შესთავაზა. პროექტი ითვალისწინებს ახალი პროფესიის – სიკვდილის კონსულტანტის შექმნას. ამ საქმის სპეციალისტი შეაფასებს, რამდენად არის გააზრებული, ნებაყოფლობითი და მტკიცე ხასიათის ადამიანის სიკვდილის სურვილი. კონსულტანტმა, სულ მცირე, სამი საუბარი მაინც უნდა ჩაატაროს ადამიანთან, ვიდრე ის ევთანაზიას მიიღებს. თუმცა, კანონპროექტი მხოლოდ სიცოცხლის ნებაყოფლობით დატოვებას ეხება. ევთანაზიისგან განსხვავებით, სიკვდილის კონსულტანტს არ შეეძლება პაციენტს სასიკვდილო პრეპარატი შეუყვანოს.

ბოტიჩელის დაკარგული „მადონა“ იპოვეს

იტალიაში, ნეაპოლის მახლობლად მდებარე კერძო სახლში, სანდრო ბოტიჩელის „მადონა ყრმით“ იპოვეს, რომელიც რეესტრიდან XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გაქრა. თავიდან ტილო ქალაქ სანტა-მარია-ლა-კარიტას ეკლესიაში ინახებოდა, მერე კი ის ერთ-ერთ ოჯახში მოხვდა, სადაც ნახატი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. აღმოჩნდა, რომ ხელოვნებათმცოდნეები მას შეცდომით თვლიდნენ დაკარგულად. აღმოჩენილი ტილო სავალალო მდგომარეობაშია, მას ჟანგი აქვს მოდებული, რამდენიმე ადგილას კი დაზიანებულიცაა. მისი რესტავრაცია უახლოეს პერიოდში დაიწყება, შემდეგ კი ბოტიჩელის კიდევ ერთ შედევრს პუბლიკას უჩვენებენ. ამასთან, შესაძლოა, ნახატი დარჩეს იმ ოჯახის მფლობელობაში, სადაც ის დიდი ხნის მანძილზე ინახებოდა. ტილო, რომელსაც სპეციალისტები 110 მილიონ დოლარად აფასებენ, ბოტიჩელის ერთ-ერთი საყვარელი „მადონა“ იყო. მუზა კი მხატვრის საყვარელი ქალი – სიმონეტა კატანეო ვესპუჩია, რომელიც 23 წლისა გარდაიცვალა.

აუქციონზე გიგანტური კიბორჩხალა გაყიდეს

იაპონიის მეთევზეთა პორტ ხამასაკაში აუქციონი შედგა, რომელზეც გიგანტური კიბორჩხალა რეკორდულ ფასად გაიყიდა. რესტორან Ryouriya Uemura-ს მფლობელმა მასში ყველაზე მაღალი ფსონი – 10 მილიონი იენი (დაახლოებით, 68 ათასი დოლარი) დადო. გიგანტი კიბორჩხალას წონა 1.2 კილოგრამს შეადგენდა. ამ ზღვის ცხოველის ხორცი განსაკუთრებულ დელიკატესად მიიჩნევა და დიდად დაფასებულია მაღალი გემოვნური თვისებების გამო.

ტამპონები მამაკაცებისთვის

ფინურმა კომპანიამ Vuokkoset, რომელიც ჰიგიენურ საშუალებებს აწარმოებს, გაყიდვაში ჩაუშვა ტამპონები მამაკაცებისთვის. ბაზარზე ამ პროდუქტის გამოსვლა ტრანსგენდერთა ცნობიერების ეროვნულ კვირეულს უკავშირდება. Tampon for Men-ის შეფუთვა მუქი ლურჯი ფერითა და „თავშეკავებული“ დიზაინითაა წარდგენილი. „მამაკაცებისთვის, რომლებსაც ასევე აქვთ მენსტრუაცია“ – გვამცნობს სლოგანი პროდუქციის თაროზე. ტამპონები განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც არასრულად განახორციელეს მამაკაცად გადაქცევა. მისი ფუნქცია იგივეა, როგორც ჩვეულებრივ, ქალების ჰიგიენური საშუალებებისა. განსხვავება მხოლოდ დიზაინსა და ბრენდინგშია.

ევროპელების სიმსუქნის რეიტინგი გამოქვეყნდა

Euro-Pulse-ის ინფორმაციით, ყველაზე მოხდენილი ევროპელები რუმინეთში ცხოვრობენ. აქაური მოსახლეობის სულ რაღაც 9.4%-ს აწუხებს ზედმეტი კილოგრამები. მათთან ახლოს არიან იტალიელები 10.7%-ით და ნიდერლანდელები – 13.3%-ით. ჭარბ წონასთან დაკავშირებით, ყველაზე უარესი სიტუაცია კუნძულ მალტაზე აღმოჩნდა – აქაური მოსახლეობის თითქმის მეოთხედი მსუქანია. ანტირეიტინგში მალტელებს ლატვია და უნგრეთი მიჰყვებიან. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განსაზღვრებით, „სიმსუქნის“ დიაგნოზს სვამენ მაშინ, თუ ადამიანის სხეულის მასის ინდექსი 0-ზე მეტია.

საოცნებო ქორწილისთვის თავი მოიმკვდარუნა

ნისლიანი ალბიონის მცხოვრებმა ტონი სტენდენმა, საოცნებო ქორწლისთვის ფული რომ შეეგროვებინა, სასიკვდილო დაავადება დაიბრალა. ადგილობრივი პრესის ცნობით, 29 წლის ტონი აცხადებდა, რომ მას სიმსივნის ბოლო სტადია აქვს. მეტი დამაჯერებლობისთვის თავიც კი გადაიპარსა და ინტერვიუებს აძლევდა მომაკვდინებელ სენზე. მეგობრებმა და ნაცნობებმა სტენდენისთვის 8.5 ათასი გირვანქა სტერლინგი შეაგროვეს და ტონის და მის პარტნიორს გადასცეს ქორწილისთვის, „რომელსაც იმსახურებდნენ“. სადღესასწაულო ცერემონიის შემდეგ, წყვილმა თაფლობის თვე თურქეთში გაატარა. თუმცა, მეგობრებმა სტენდენი მალევე ამხილეს სიცრუეში. „ისე კარგად ითამაშა და გაგვაცურა, ნამდვილად ოსკარს იმსახურებს“, – განაცხადეს მათ. თაღლითობის გამო, ტონის ციხე ელოდება და შესაძლოა, ქორწილის თანხაც დააბრუნებინონ.

ფანტასტიკური წიგნის მაღაზია გახსნეს

ჩინეთში, ქალაქ ჰუაიანში (სიჩუანის პროვინცია), არქიტექტურულმა სტუდიამ X+Living ახალი წიგნის მაღაზია გახსნა, რომელიც ნამდვილ ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. მაღაზია Huai'an Zhongshuge ორ სართულზეა განლაგებული და მისი ფართი 810 კვადრატული მეტრია. ინტერიერი ჩაფიქრებულია, როგორც პორტალი დროსა და სივრცეში და მსხვილმასშტაბიანი „ასტრონომიული ინსტრუმენტებისგან“ შედგება. წიგნების თაროები ჰაერში მცურავ კონცენტრულ რგოლებს ჰგავს და მათზე ტონობით წიგნია განთავსებული.

იასამნისფერმა ცამ შვედები შეაშინა

შვედეთის ერთ-ერთ ქალაქში უჩვეულო მოვლენამ ადგილობრივებში პანიკა გამოიწვია. დასახლებული პუნქტის თავზე, ღამით, ცა ზღაპრულ, იასამნისფერ ფერში განათდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთმა ფერმამ, სადაც პამიდორი მოჰყავთ, ახალი ენერგოეკონომიური დიოდური განათების სისტემა აამუშავა. სწორედ მან შეაშინა ქალაქის მოსახლეობა. აგრარული კომპლექსის მფლობელებმა ბოდიში მოიხადეს და განაცხადეს, რომ უბრალოდ, სურთ, ელექტროენერგია დაზოგონ და უფრო მეტი პროდუქცია მოიწიონ.

ქვეწარმავლებს ხიდი აუშენეს

ინდოეთის ერთ-ერთ შტატში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ტყეში გამავლ მაგისტრალზე ხიდი ააგო, რომლითაც ქვეწარმავლებმა და მცირე ზომის ცხოველებმა უნდა ისარგებლონ. 27-მეტრიანი ხიდი, რომელიც ბამბუკისა და სხვა მცენარეებისგან დაამზადეს, პირველი ნაგებობაა, რომელიც ქვეწარმავლებისთვის აიგო. გზა, რომელზეც ეს ხიდი გაიდო, ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული ტრასაა ინდოეთში, რადგან სწორედ ამ მაგისტრალით მიდიან ტურისტები პოპულარულ ლოკაციამდე – ქალაქ ნაინიტალამდე. ამ ტყეში კი სხვადასხვა სახეობის ცხოველი და ქვეწარმავალი ბინადრობს. ტრასაზე გადასვლისას ბევრი მათგანი ავტომობილების საბურავების ქვეშ აღმოჩენილა და მომკვდარა.

ოფისში ბოსტანი მოაწყვეს

ტოკიოში მდებარე კომპანია საკუთარ ვრცელ საოფისე ფართს არა მხოლოდ კლიენტებთან მუშაობისთვის, არამედ ხილის, ბოსტნეულისა და მარცვლეულის მოსაყვანადაც გამოიყენებენ. აკურატულ კვლებში აქ იზრდება ბრინჯი, მწვანილი, ბოსტნეული, ჭერიდან დაკიდებულ ღეროებზე პომიდორი, ლობიო და სხვა პროდუქტი იწონებს თავს. ვიდრე საოფისე ბოსტანი მოსავალს მოიწევს, ის დიზაინის ელემენტს, ჰაერის გამწმენდსა და დამატენიანებელს წარმოადგენს. მიღებულ მოსავალს მთლიანად ადგილობრივი სასადილო იყენებს, ხოლო ჭარბ პროდუქციას, ზლაიან დაბალ ფასად, თანამშრომლებივე ინაწილებენ. გარდა ამისა, მცენარეებთან მუშაობა სასიკეთოდ აისახება კოლექტივის შრომისუნარიანობასა და ფსიქოლოგიურ განწყობაზე.

თვალებში ადამიანის აზრებს ამოიკითხავთ

ავსტრალიელმა და შვეიცარიელმა სპეციალისტებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანის აზრების წაკითხვა მის თვალებში მართლაც შესაძლებელია. ორი ქვეყნის სწავლულების ერთობლივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გარკვეული კანონზომიერების მიხედვით, 100%-იანი სიზუსტით შეიძლება დადგინდეს, რას ფიქრობს ადამიანი. მაგალითად, როცა ადამიანი ფიქრობს რიცხვების თანმიმდევრობაზე, ის წარმოიდგენს შკალას, რომელზეც ციფრებს „განათავსებს“. ეს მისი თვალის გუგების მოძრაობაზე აისახება. გამოცდილების მქონეს ისიც კი შეუძლია თქვას, რა რიცხვს დაასახელებს წამების შემდეგ ეს ადამიანი.

თოვლისკაცები ცხელი შოკოლადისთვის

ჩვეულებრივ, თოვლისგან გაკეთებული ფიგურა რომ დნება, დასანანი სანახაობაა, მაგრამ თუკი ეს თოვლისკაცი შოკოლადისგანაა დამზადებული და ის ცხელ რძეში დნება, მოსაწყენად ნამდვილად არ არის საქმე. ნისლიან ალბიონზე მდებარე სუპერმარკეტების ქსელმა Aldi-მ, სადღესასწაულო პერიოდის დაწყების წინ, მომხიბვლელი თოვლის კაცუნების გაყიდვები დაიწყო, რომელთა დახმარებითაც ზამთრის საყვარელ, დამათბობელ სასმელს მიიღებთ. ფიგურები ორ ვარიანტად იყიდება – რძიანი და თეთრი შოკოლადის. კაცუნები, უბრალოდ, უნდა ჩაუშვათ ცხელ რძეში და გადნობა აცალოთ. უგემრიელესი სასმელის მისაღებად მსურველმა თოვლისკაცი რომ შეიძინოს, 2.5 დოლარის გაღება მოუწევს.

ხშირი კოცნა სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად კოცნიან ერთმანეთს, 12 წლით მეტს ცოცხლობენ, ვიდრე ისინი, რომლებსაც ეს პროცესი არ უყვართ. მედიკოსების განცხადებით, კოცნა აწყნარებს ნერვულ სისტემას და თავიდან გვაშორებს სტრესს. ამასთან, საკმარისია მხოლოდ ერთი კოცნა, რომ ორგანიზმში გამოიყოს ბედნიერების ჰორმონის – ენდორფინის დამამშვიდებელი პორცია. ერთი ვნებიანი ამბორი კი 12 კილოკალორიას წვავს, ხოლო თუ კოცნა ერთი წუთს მაინც გრძელდება, ეს დაახლოებით, 500 მეტრის გარბენს უდრის. სპეციალისტების თქმით, კოცნა საჭიროა, რათა ორგანიზმის საერთო ტონუსი ნორმაში იყოს. მათი განცხადებით, ხანმოკლე კოცნა გულის კუმშვის სიხშირეს ზრდის, რაც საშუალებას იძლევა, სისხლი სწრაფად ამოძრავდეს, ასე უჯრედები მეტ ჟანგბადს მიიღებენ. ასევე მცირდება სისხლში ქოლესტერინის დონე, რაც სიმსივნის განვითარებისგან დაგვიცავს. კოცნას რეკომენდაციას უწევენ ამერიკელი სტომატოლოგებიც – კალციუმისა და ფოსფორის ნაერთების შემცველი ნერწყვის ძლიერად გამოყოფა კბილებს კარიესისგან იცავს. იაპონელი მედიკოსები კი აცხადებენ, რომ კოცნა ალერგიისგანაც გვიცავს. მათი თქმით, ამ დროს არსებითად იზრდება სისხლში ალერგენებთან მებრძოლი ანტისხეულების რაოდენობა.

პოლივიტამინები უსარგებლო ყოფილა

კანადელმა სწავლულებმა, მრავალწლიანი კვლევების შემდეგ, დაამტკიცეს, რომ პოპულარული ვიტამინებისა და მინერალების დანამატები უსარგებლოა გულისა და სისხლძარღვების ყველაზე გავრცელებული დაავადებების პროფილაქტიკისას. ტორონტოს უნივერსიტეტის სპეციალისტებმა 2017-22 წლებში ჩატარებული კვლევების შედეგები გააანალიზეს. აღმოჩნდა, რომ ყველაზე პოპულარული დანამატები შეიცავს „დე“ და „ცე“-ჯგუფის ვიტამინებსა და კალციუმს. ეს ელემენტები არ ახდენს შესამჩნევ გავლენას გულსისხლძარღვთა სისტემაზე და ამიტომაც უსარგებლოა მათი მიღება ინსულტის, გულისა და სისხლძარღვების დაავადებების პროფილაქტიკისთვის. ვისაც გულის შეტევების რისკის შემცირება სურს, სწავლულები ურჩევენ, ფოლიუმის მჟავისა და „ბე“-ვიტამინის შემცველი დანამატები მიიღონ. ყველაზე სასარგებლო კი მათი ბუნებრივი სახით (ხილის, ბოსტნეულისა და ნიგვზის) მიღებაა.

ღრმა ჭრილობებს 3D-პრინტერი უშველის



სამგანზომილებიანი პრინტერი მედიცინაში სულ უფრო ხშირად გამოიყენება. მისი მოხმარების ახალი მეთოდი ტორონტოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა წარადგინეს – მათ ღრმა ჭრილობების პორტატული 3D-პრინტერით რამდენიმე წუთში „დაბეჭდვა“ ისწავლეს. ღრმა ჭრილობებისას ზიანდება კანის სამი ფენა – ეპიდერმისი, დერმა და ჰიპოდერმა. თუ ჭრილობა ძალიან სერიოზულია, საჭიროა კანის გადანერგვა, რასაც თან ახლავს სხვა გვერდითი მოვლენები. ახალი პრინტერი კი ამ პრობლემებს მოაგვარებს. „კანის პრინტერი“ კანს ბეჭდავს პერსონალურად – კონკრეტულად ერთი პაციენტისთვის და კონკრეტული ჭრილობისთვის. ამ დაბეჭდილი კანით ამოივსება ღრმა ჭრილობა. მოწყობილობა, ჯერჯერობით, მასობრივი წარმოებისთვის არ არის მზად. ცოტა ხანში, სპეციალისტები მის იმ პაციენტებზე დატესტვასაც აპირებენ, რომლებიც დამწვრობისგან დაზიანდნენ.

თვითმწმენდი სავარძლები შექმნეს

პროექტის ავტორების განცხადებით, თვითმფრინავებისთვის განკუთვნილი ახალი სავარძლები, პრაქტიკულად, ნებისმიერ ბაქტერიას ანადგურებენ. მათი ზედაპირი ანტისეპტიკითაა გაჟღენთილი. ამგვარი სავარძლებით, ჯერჯერობით, მხოლოდ ავიასალონების ბიზნეს-კლასი აღიჭურვება. ბოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თვითმფრინავებში უსაფრთხოების ღვედის მხოლოდ ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე, ასობით სიცოცხლისუნარიანი ბაქტერია და სოკო ცხოვრობს, სტაფილოკოკის სპორები კი სავარძლების ზედაპირზე ერთი კვირის განმავლობაში რჩება. გარდა ბაქტერიების განადგურებისა, ახალი სავარძლები ზურგის მასაჟსაც აკეთებს, მომავალში სპეციალისტები აპირებენ, მას ტემპერატურის, ხმაურისა და შუქის კონტროლიც დაუმატონ. ანტიბაქტერიული სავარძლები ბაზარზე გასაყიდად ერთი წლის განმავლობაში გამოვა, თითოეულის ფასი კი 95 ათასი (!) დოლარი იქნება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.